წელიწადი მეორე | ფასი 10 კაპ. | კვირა, 11 ენკენისთვე 1916 წ. | № 202

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი. რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი [illegible] განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი გაზეთისა:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ.-მდე.

**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

კვირას, 11 ენკენისთვეს, გარდაცვალებიდან 40 თავზე,

## ეკატერინე ივანეს ასულის
## სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ძმები. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდისა 11 ნახევარზე, დილით. (2—324—2)

თ დი ლევან თამაზის ძე ვაჩნაძე და კნ. ანნა ივანეს ასული ანდრონიკაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქნება პანაშვიდი პირველის დედის და მეორის ბებიის

## კნ. მაკრინე ზურაბის ასულის
## ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად. (1—325—1)

დავით ერაძე და მეუღლე ნინო სოლომონის ასული და შვილები ანნა, გიორგი, მარიამი, ალექსანდრე, ოლა, ლუბა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველების შვილის და მეორეების ძმის პრაპორჩიკის

## სვიმონ დავითის ძის
## ე რ ა ძ ი ს

გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე, წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში.

მიცვალებული ავსტრიის ფრონტიდან მოასვენეს. (1—327—1)

## საზოგადო კრება

სათავად-აზნაურო ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოწაფეთა მშობლებისა

დანიშნულია კვირას, 11 ენკენისთვეს, დილის 11 ს.

## დელეგატების ა.არჩევად

მშობელთა წრის საბჭო სთხოვს ყველა მშობელთ უეჭველად დაესწრონ კრებას (1—326—1)

## დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში

(ბელინსკის ქუჩა 2)

სამშაბათს, 13 სექტემბერს,

## თბილისის ქართველ ქალთა
## საზოგადოება

ჰმართავს ჩვეულებრივ კრებას, რომელზედაც

## ქ-ნი დომინიკა ჩიხლაძე

წაიკითხავს მოხსენებას

## ქეთევან წამებულზე

(2—28—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)

კვირას, 11 ენკენისთვეს,

## რუსულად „კაბარე“ და საზანდარი

ორშაბათს, 12 ენკენისთვეს,

## სომხურად ოპერეტა „ან ეს, ან ის“
## და სამხედრო ორკესტრი

დასაწყისი წარმოდგ. 9 საათზედ, სინემატოგრაფ. 8 ნახ. საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. (3—246—3)

## „ახალ კლუბის“ მამასახლისთა
## საბჭოს

საჭიროდ მიაჩნია მოაგონოს კლუბის წევრთ, რომ 11 ამა ენკენისთვეს, დღის 12 საათზე, კლუბის სადგომში, დანიშნულია კოოპერატიულ საზოგადოების

„მეურნეს“ წევრთა საზოგადო კრება

საზოგადოების გამგეობის ორის წევრის ასარჩევად.

## სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა
## ქართულსა და რუსულს ენაზე

| | | |
|---|---|---|
| I განყოფილება | — | დიქცია და დეკლამაცია. |
| II „ | — | პლასტიკა და გიმნასტიკა. |
| III „ | — | თეატრის ისტორია. |
| IV „ | — | ესტეტიკა. |
| V „ | — | პრაქტიკული მეცადინეობა. |

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.

დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და საღამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა. (თ.—230—13)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვა ნელობით.

პატივისცემით სიღ. ს. გიგიბერია.

## ექიმი
## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დ. ზისტაფონში

## ე ქ ი მ ი
## დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაქაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

## ბიუროკრატიის ბატონობის შედეგები

ბიუროკრატიის ბატონობა რომ ქვეყნის დაქვეითებისა და გაველურების ფაქტორია, ამას მტკიცება არა სჭირია ოდნავ დაწინაურებულს საზოგადოებაში. რაც უფრო ახალგაზრდაა სახელმწიფო და მისი ბიუროკრატიული რეჟიმი, მით უფრო მძაფრი და უხეშია ბრძანების აბსოლუტური სურვილი, რომელიც მათში აღიძვრის თავიანთ ქვეშევრდომთა და ხელქვეითთა მიმართ. რუსეთის სახელმწიფო თავის ტერიტორიის განსრულებას დღესასწაულობდა, როდესაც იგი საქართველოში დამკვიდრდა. ღმერთი სწყალობდა მის იარაღს და ახალ-ახალი ტერიტორია ემატებოდა ველიკოროსთა პირვანდელ სამკვიდრებელს. დაპყრობა ქვეყნებისა და ხალხებისა მარტოოდენ იარაღით ხდებოდა. ფიზიკური ძალა იყო ველიკოროსთა სამფლობელოს საზღვარს რომ თან და თან უფართოვებდა. რუსის ხალხის გონებასა და კულტურას ამაში წილი არ ედვა და ვერც დაიდებდა. ვერ დაიდებდა იმიტომ რომ, ისტორიისა და ცხოვრების უცნაურობის თანახმად, სწორედ ბევრად უფრო კულტურული ხალხი და ქვეყანა ხდებოდა ჩამორჩენილ რუსეთის იარაღის მსხვერპლად. ასეთ პირობებში, ახალგაზრდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიას იარაღისა და ფიზიკური ძალის მაღალი კულტი უნდა შეჰქმნოდა და პოლიციური რეჟიმი და ყოფა-ქცევა მართვა-გამგეობის უმაღლეს სიბრძნედ გამოეცხადებინა. ასეც მოხდა.

ჭაბუკი ბიუროკრატია მთელის აბსოლუტობით შეუდგა თავის ბრძანებლობის გამეუფებას. თავის დანიშნულებად მან გამოაცხადა დაპყრობა, დამორჩილება, იარაღი, ფიზიკური ძალა, რადგანაც დიდი რუსეთის სახელი და ფარგალი ამ რეცეპტებით იყო შექმნილი. ღვთის წინაშე სხვა იარაღი მას არც გააჩნდა.

ბიუროკრატიამ მეტაფიზიკურად გაიგო თავისი როლი და დანიშნულება. ხალხის განათლება, მისი ქონებრივი კეთილდღეობა ბიუროკრატიის საზრუნავს აღარ შეადგენდა. იგი არავითარ შემოქმედებით მონაწილეობას არ იღებდა იმ ხალხთა კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაში, რომელთა ზედა ძლიერად აღმართული ჰქონდა ბატონობისა და ბრძანებლობის კვერთხი. ის იყო ყოვლის მპყრობელი ბატონი, რომლის სიმტკიცეს და დღეგრძელობას ეწირვებოდა ხალხის ძალა და ენერგია, ხალხის ქონება.

და თავის საზღვრებში უკვე ჩამდგარ რუსეთს მთელის საშინელებით დააწვა მაჯლაჯუნა-ბიუროკრატია; გაჭირდა მოქალაქობრივი ცხოვრება, გაძნელდა სუნთქვა. ბიუროკრატიის ეს ბატონობა ერთი ორად უფრო საგრძნობელი იყო ჩვენს განაპირა ქვეყანაში, რომელიც მისთვის უცხო იყო მთელი თავის წარსულით, თავის სულით და მისწრაფებით. თუ რუსის ხალხი იხუთებოდა ამ ბიუროკრატიის ბრჭყალებში, ქართველ ხალხს პირდაპირ სული აშოსდიოდა. ძველი ენგრეოდა, ხელიდან მიუდიოდა და ახალი აღარ იქმნებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ბიუროკრატიის მთელი ასი წლის მოურაობა საქართველოში მარტოდ-მარტო პოლიციურ საქმიანობაში გამოიხატა. ეს იყო სული და გული, მთელი შინაარსი მისი პროგრამისა. მას არ აწუხებდა ხალხის ჯანმრთელობა; არასოდეს არ უძებნია წამალი სენისა, რომელიც მთელ ქართველობას ანადგურებს. მას არ დაბადებია თაოსნობის სურვილი, ან სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო, ან გაეჩინა მუდმივი მედიკური კვლევა-ძიების სადგური, ადგილობრივი ავადმყოფობათა ბუნების გამოსაცნობად და მათ წინაამდეგ საბრძოლველად. ამას რომ თავი გავანებოთ და უბრალო საექიმო დახმარების საქმე გავითვალისწინოთ, პირდაპირ განცვიფრებასა მოხვალთ. ასე გეგონებათ საშუალო საუკუნეთა უკუმეთში ვცხოვრობთ და არა ელექტრო-და ფიზიოტერაპიის საუკუნეში, ან რენტგენის სხივების ეპოქაში. დასასურათებლად ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ.

მთელს თიანეთის მაზრაში, სადაც 46 ათასი მცხოვრები ითვლება, ორად ორი სოფლის ექიმია და ერთი საფერშლო პუნქტი. ამ მაზრის 4336 კვად. ვერსის სიგრძე-სიგანეზე ერთად-ერთი საფერშლო პუნქტია.

ზაქათალის ოლქში თავის 80 ათას მცხოვრებით ერთ სამკურნალოზე 32.341 მცხოვრები მოდის. შუაგულ საქართველოში გორის მაზრაში, სადაც 230 ათასი მცხოვრებია, 2721 კვად. ვერსის სიგრძე-სიგანეზე ერთი სამკურნალო მოსდის.

ბიუროკრატიას თავი არ შეუწუხებია არც იმისთვის, რომ ქვეყნისთვის სამეურნეო დახმარება გაეწია, ან საგრონომიო სადგურების სახით, ან სამეურნეო იარაღების საწყობების გამართვით, ან სამელიორაციო ბანკების დაარსებით, ან სარწყავ რუების გაყვანით. ამოივსო ქართლის დიდი არხი, ქვეყნის გულშემატკივარი მმართველის თაოსნობით გამოყვანილი, რომელიც დიდ ლიახვიდან იყო გამოყვანილი, სჭრიდა ხეობის მარჯვენა ფერდს, მთელ ტირიფონის ველს, უვლიდა კვერნაკის მთას, რწყავდა მთელ აშურიანის მინდორს და ბოლოს მტკვარს ერთვოდა. მუღანის ველზე დღესაც ცოცხალია ნაშთები უზარმაზარი არხისა, რომელიც ქართველთა მეფეების ბატონობის დროს არის გაკეთებული! ეს და მრავალი სხვა არხი დღეს ამოივსო, აღარ მოქმედობს; საქართველოს პურს, სიმინდს, ბაღს და სხვა ჭირნახულს აკლდება მაცოცხლებელი წყალი და ზედ ძირზე ხმება და იხრუკება. ამ მხრივ ბიუროკრატიის სრული უნიჭობა და უმოქმედობა ქვეყნის კეთილდღეობას ძირს უთხრის. ეხლაც ვერ მოუყვანიათ აღსრულებაში ის გეგმა, რომელიც ინგლისელმა ინჟინრებმა ბელისმა და გაბბიმ შეიმუშავეს ამ ორმოცდა ათი წლის წინად, თავად ბარიატინსკის მთავარმართებლობის დროს! დღესაც თუ რამე კეთდება ჩვენში, ეს კიდევ ჩვენი ხალხის თაოსნობისა და სიცხოვლის წყალობით. ერთ უშესანიშნავეს ნაყოფიერ ადგილად გადაიქცა ცხენისწყალისა და გუბისწყალის ქვემო მიმდინარეობათა შორის მოქცეული ველი დაახლოვებით 32,100 დესეტინა იმ სარწყავ არხის წყალობით, რომელიც 1880 წელში ჩვენი ცნობილი მოღვაწის ნ. ნიკოლაძის მეთაურობით იქნა გამოყვანილი. აქ, ამ რაიონში მთავარი არხების სიგრძე 300 ვერსამდე უწევს და ადგილების ფასმაც ამ ბრე-მარეში ერთი ათად იმატა. წინანდელი 50 მანეთის ნაცვლად დესეტინა დღეს 600—700 მ. ფასობს. ბიუროკრატიის მავნებლობა მარტო ამ დარგებს როდი დატყობია. წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების საქმეში იგი კიდევ უფრო ცინიკურად გამოითქვა. ზაქათალის ოლქში ცხრა ათას მცხოვრებზე ერთი სკოლა მოდის. თელავის მაზრაში, საერობო გადასახადთა გამწერ სამაზრო საკრებულოს მოწმობით, ტრაქტირთა რიცხვი ხუთმეტჯერ აღემატება სკოლათა რიცხვს. თბილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში სასკოლო ბავშვთა რაოდენობა უდრიდა 106.459, 1912—1914 წლებისათვის. აქედან 80.888 ბავშვი სკოლის გარეშე იყო, წერა-კითხვის მადლს მოკლებული!!

ამგვარად, ქვეყნის სამი ძირითადი საფუძველი სწავლა-განათლება, ეკონომიური საქმიანობა და ჯანმრთელობა არა სწამს ბიუროკრატიას, რომელსაც ჩვენი ხალხის ბედი ხელში ჩაუგდია და მას წაღმა-უკუღმა ატრიალებს. თავის არსებობის მიზანსა და დანიშნულებას იგი ხედავს ტლანქ პოლიციურ რეჟიმის გაბატონებაში. ჩვენი ხალხის თითქმის მთელი ენერგია ამას ეწირვება. აი რამოდენიმე მაგალითიც.

თელავის მაზრაში 70,000 მან. საერობო ჯამიდან, 35,000 მანეთი საერობო-საპოლიციო დარაჯის შენახვას უნდება. ზაქათალის ოლქში საერობო ჯამის 72 % ამავე საპოლიციო დარაჯის შენახვაზე იხარჯება. მთელ ქუთაისის გუბერნიაში ამ საქმეს 234,745 მანეთი უნდება, რაიცა მთელი საერობო თანხის ერთ მეოთხედს აღემატება. ბიუროკრატიას მარტო პოლიცია სწამს. კანონებიც თითქოს მარტო პოლიციის შესანახ რესურსების გამოსაძებნად იწერება! კავკასიიდან წასულ მოხსენებას, რომ ამიერ-კავკასიის საერობო თანხა საკულტურო და სამეურნეო საქმეს მოხმარებოდა და მის ხარჯზე საპოლიციო დარაჯის შენახვა შემცირებულიყო, ფინანსთა სამინისტრომ ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „კანონში აღნიშნული არ არის, რომ ამიერ-კავკასიის ერობას უფლება ჰქონდეს გასწიოს ხარჯები სახალხო განათლებისა და სასოფლო მეურნეობისათვისო!“ ამ გვარად, ხალხის განათლებას და სასოფლო მეურნეობა კანონს გარეშე არის გამოცხადებული. ქვეყანას უფლება არ აქვს თავისი ფული აუცილებელ საჭიროებისთვის მოიხმაროს.

რუსეთის ბიუროკრატიას არ აქვს შეთვისებული ევროპის არც ერთი განათლებული მთავრობის სამოქმედო მორალი და პრაქტიკა. იგი ამ მხრივ ველურობის სამწუხარო ნაშთს წარმოადგენს ამ მეოცე საუკუნის რიჟრაჟზე. სახელმწიფო ხასიათის დახმარება ჩვენს ხალხს რომ ევროპიულ წესით ეძლეოდეს, ჩვენი ქვეყანა ნივთიერ დოვლათის და კულტურულ აყვავების იშვიათ სანახაობას მოიცემოდა. ხალხს, რომელსაც ისეთი გამრჯელი და მუყაითი გლეხობა ჰყავს, რომელმაც, როგორც მაგალითად ქუთაისის გუბერნიაში, საკუთარის ღონისძიებით, მთელი „ნადელი“ გამოისყიდა და საკუთრებად განიმტკიცა, თავის მომავალის მტკიცე რწმენა და შეურყეველი იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენც ამ იმედით და რწმენით ველოდებით დუხჭირ საერთო პირობების შეცვლას.

ს. კედია.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის მთავარ შტაბის ოფიციალ დეპეშის ცნობით, დობრუჯში მოპირდაპირეს უკან დაუხევია. თითქმის იმავე დღეს ბულგარელებს სასტიკი იერიშები დაუწყვიათ გენ. სარაილის ჯარის წინააღმდეგ სოლუნის მიდამოებში. ალაგ-ალაგ ისეთი სიმწვავით იბრძვიან ბულგარელები, რომ მოკავშირენი იძულებულნი ხდებიან უკან დაიხიონ. ასეთ გვარ ბრძოლას მოპირდაპირის მიერ უფრო ტაქტიკური ხასიათი აქვს, ვიდრე სტრატეგიული. დრო და დრო შესევა სხვა და სხვა ადგილას გამოწვეულია იმ განზრახვით, რომ მოპირდაპირე შეასუსტოს, ჩაუშალოს უცაბედი თავდასხმით ადრევე შემუშავებული გეგმა და ამ რიგად დრო მოიგოს, უფრო უკეთესად შემოიკრიფოს ძალები და მოხერხებულ ალაგას ეკვეთოს მტერს. არა გვგონია ბულგარელებს და გერმანელებს იმდენი ძალები ჰყავდეთ, რომ შესძლონ შეტევა, როგორც სარაილის, ისევე რუმინეთის წინააღმდეგ. ბულგარელების შესევას რუმინეთში აუცილებლივ მოკავშირეთა ჯარების მოქმედება უნდა მოჰყოლოდა. დახანება მეტად დიდს ხიფათს უმზადებდა ახალ მოკავშირეებს და გენ. სარაილსაც, რა გაეწყობოდა, საბერძნეთის დახმარებაზე ხელი უნდა აეღო და თავის ძალღონით გამკლავებოდა ბულგარელებს. მკითხველებმა უკვე იციან, რომ სერბეთის ჯარმა, რომელიც გენ. სარაილის ხელმძღვანელობით მოქმედობს, ბულგარელების მარჯვენა ფრთას ამ ორი-სამი დღის წინეთ შეუტია, უკან დაახევინა და ქალაქი ფლორინა აიღეს. სამაგიეროდ ბულგარელებმა იტალიელებს დოირანთან უკან დაახევინეს. რაკი კარგა ხნობით გაყინული ბრძოლის ხაზი მოკავშირეების შეოხებით ახმაურდა, ცხადი იყო ბულგარელებიც თადარიგს დაიჭერდნენ და შესაფერს გეგმას აწარმოებდნენ. ადვილი მოსალოდნელია, დროებით ცენტრალურმა სახელმწიფოებმა მას შეძლებ, რაც მათ დობრუჯში ბულგარეთის საზღვრები უზრუნველ ჰყვეს რუმინეთის ჯარის შემოსევისაგან, თავიანთ მოქმედება სოლუნის მიდამოებში გადმოიტანონ. ასეთგვარ მოსაზრებას თითქოს ერთხმივ ამართლებს ავსტრიელების მიერ დაწყებულ იერიშებს ჩრდილო-დასავლეთის აპარეზით რუმინეთის წინააღმდეგ. თუ ამ მიდამოებში ბრძოლა სერიოზულ ხასიათს მიიღებს, ცხადია მაშინ რუმინეთის მთავარი შტაბი ვეღარ აწარმოებს ფართო ოპერაციებს ბულგარელების წინააღმდეგ და მთელი თავისი ძალღონეს ავსტრიელებს მოანდომებს.

საზოგადოთ ბალკანეთში მდგომარეობა მეტად გამწვავდა და ჩვენ ძალიან მალე მოწამები უნდა შევიქნათ იმ დიად და მასთანვე სასტიკ ბრძოლისა, რომელმაც სამუდამოთ უნდა გადასწყვიტოს ბალკანეთის საკითხი ან ერთის ან და მეორის მხარის სასარგებლოდ.

რუსეთის მთავარ შტაბის ცნობით, როგორც აღმოსავლეთ, ასევე კავკასიის ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია.

X.

# ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

10 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის და კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

9 ენკენისთვე.

**პარიზი.** ოფიციალი ცნობა. სომას ჩრდილოეთით მოპირდაპირეს აღარ უცდია ლეპრიესა და შუალამეს ფერმებს შუა შემოტევა. უამინდობა აფერხებს სამხედრო მოქმედებას მდ. სომას გაღმა-გამოღმა. არგონებში, ფურ-დე-პარისთან მოპირდაპირემ ნაღმი აგვიფეთქა და იერიშით წამოვიდა, მაგრამ შევაჩერეთ. ტიომონის სამხრეთით ფრანგებმა ორი თხრილი აიღეს. ტყვედ წამოიყვანეს 100 გერმანელი, მათშორის 8 აფიცერი. წამოიღეს 3 ტყვიისმფრქვეველი. ვოშაპიტრის ტყის აღმოსავლეთ ნაწილში ფრანგებმა 100 ადლით წინ წასწიეს ნაღმები. აპრემონის ტყეში ფრანგების მოწინავე სადარაჯოს ხერის ყუმბარებით მტრის იერიში მოიგერია. გუშინ პერონის სამხრეთით, ფრანგმა მფრინავმა მულენის მახლობლად ძირს დასცა გერმანელთა ჰაეროპლანი. მახლობელ აღმოსავლეთში: სტრუმიდან ვარდარამდე ხანგამოშვებით ზარბაზნებით ბრძოლაა. კაი-მაყჩალანის სიმაღლეზე, ცრნის აღმოსავლეთით ბულგარელებმა მედგარი იერიში მიიტანეს სერბიელებზე, მაგრამ დიდის ზარალით მოიგერიეს.

მდ. ბროდის მიდამოებში, ბულგარელებმა კროლტნიკაზე იერიშები განაახლეს. ორჯელ მისევის შემდეგ შეიჭრნენ სოფელში, მაგრამ სერბიელებმა ხიშტებით გამოდევნეს. მარცხენა ფრთაზე ჩვენმა ჯარმა პისოდერის ჩრდილო-დასავლეთით 5 ვერსით წინ წაიწია და თუმცა ჯანღი იყო, მიუახლოვდა სიმაღლეს „1550". აქ 50 კაცი დავატყვევეთ.

**ლონდონი.** საფრანგეთში მყოფ ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა. 8 ენკენისთვეს მთელი ღამე სწვიმდა. ანკრის სამხრეთით მტერი განუწყვეტლივ იერიშებით მოდიოდა. ვიგერიებდით. ტყვეები წამოვიყვანეთ. მტერმა ბევრი მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე. აქ კიდევ მოვახერხეთ წინ წაწევა.

**ბუქარესტი.** რუმინელთა დილის ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. კალიმანის და გურნიულის (დიერდიოს) მთებში ბრძოლაა. ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი და 136 მეომარი. ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიისმფრქვეველი. ჩვენმა რაზმმა ოდორგეა (სეკელი-უდვარჰელი) აიღო. ჟიუს ველში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

სამხრეთის ასპარეზზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ზიმნიცასთან ზარბაზნებით ბრძოლაა. დობრუჯში 3 ენკენისთვეს დაწყებული და გაძლიერებული ბრძოლა 7 ენკენისთვეს დასრულდა. ჩვენ მოვიგერიეთ გერმანელ-ბულგარელ-ოსმალთა გაერთიანებული ჯარი, რომელმაც სამხრეთისაკენ დაიხია.

**პარიზი.** ოფიც. სალამოს ცნობა. სომას არე-მარეში მთელი დღე ზარბაზნებს ვუშენდით მტრის მოსაგერიებელ ადგილებს. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, გერმანელებს მდ. ენის ნაპირებიდან წამოუყვანიათ მე-18 კორპუსი და 214-ტე დივიზია რუსეთის ასპარეზისათვის. ამ ჯარს შუაგზაში ბრძანება მიუღია, სომას ნაპირებისაკენ წამოსულიყო, მოსულან 6 სექტემბერს ღამე, ხოლო მეორე დილას ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა ბუშავენთან, სადაც დიდად დაზარალებულ. 7 სექტემბერს სომას ჩრდილოეთით 200-მდე ტყვე წამოვიყვანეთ. დანარჩენ ადგილებში დრო და დრო ზარბაზნების სროლაა.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სოლუნიდან ატყობინებენ: ბროდის მიდამოებში მოპირდაპირე მედგარს წინააღმდეგობას გაუწევს სერბიელებს, რომ მონასტირისაკენ არ გაუშვას.

**პეტროგრადი.** 10 ენკენისთვე. გარეშე საქმეთა მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გოფმეისტერი შტიურმერი უმაღლეს მთავარ სარდლის ბანაკში გაემგზავრა.

**პარიზი,** 6 ენკენისთვე. დეპუტატთა პალატა. კამათის განმავლობაში დროებითი სესხის შესახებ სოციალისტმა დეპუტატმა ნიკოსტადემ სთხოვა მთავრობას, რომ მიიღოს მან ღონისძიება, რათა განახორციელოს პრინციპი ჯართა თანასწორობისა საერთო ფრონტზე. მან განაცხადა, რომ საფრანგეთს არ შეუძლიან უკანასკნელამდე დააქციოს სისხლი თავის მამულიშვილებისა. საჭიროა, რომ ყველა მოკავშირემ შესაფერი მსხვერპლი გაიღოსო. ბრიანმა უპასუხა, რომ არ ღირს ასე დაწვრილმანებას გავყვეთო და ქება-დიდებით მოიხსენია საერთო მოკავშირეების თავგანწირვა—წმინდა მიზნის მისაღწევად. მან მოიგონა ინგლისი, რომლის შესახებ განაცხადა, რომ იგი არა მარტო საფრანგეთის მიწა-წყალზე აბრძოლებს თავის გმირ ჯარებს, არამედ ზღვაზე გვიდგია ნამდვილ დარაჯად. მან მიუთითა რა რიგ სიძნელით შექმნა მან ხმელეთის ჯარი და რამდენს მსხვერპლს სწირავს, მხოლოდ აქედან შეგვიძლიან ნათლად დავინახოთ მათი გასაკვირველი თავგანწირვაო. იტალეთი თავის ნებაყოფლობით შემოგვიერთდა და დიდის თავგანწირვით ებრძვის მტერს ისეთს მიუვალს მთიან ადგილებშიო. რუსებმაც გადალახეს ასეთი გაჭირვება ჭირთა გადახიდვისა და აი ამ სიშორეზე მოგვაწოდეს ჯარები, როგორც აქ, ისე ბალკანეთზედაცაო.

ჩვენ ყველანი ყოველს ღონისძიებას ვიღებთ საერთო მტრის წინააღმდეგ და გულით და სულით შეთანხმებით ვმუშაობთო. ყოველს ფრანგს სურს ეს უხვად დაქცეული სისხლი იყოს ნიშანი დიდი თავისუფლების, რომ ხვალ საფრანგეთი ამაღლდეს ბრწყინვალებით, რომელსაც იგი იმსახურებსო. ქვეყანა, დაათავა ბრიანმა, არ შევა შეცდომაში არავითარი პროპაგანდითაო". საფრანგეთი ისწრაფის გამარჯვებისკენ და სურს აიჩქაროს იგი. მტკიცე გადაწყვეტილებით და შეურყეველის ერთსულოვნებით იძლევა ხალხს, ზარბაზნებს და ყუმბარებსაო. პალატამ ორატორს ტაშის ცემა გაუმართა. სოციალისტი ბრიზონი პროტესტს აცხადებს, რომ ომი ადამიანთა ჟლეტის უბრალო ქრონიკად გადააქციესო. ბრიანმა მიუგო—საფრანგეთი ყოველთვის მშვიდობიანობისაკენ ისწრაფოდა და მტერი მას დიდი ხნის მოფიქრებულის გეგმით შეესიაო. ერთს მშვენიერ დღეს გერმანეთმა საფრანგეთს ხელი ჩაუჭირა ყელში და პატარა ბელგეთს გვამს გადააბიჯა ზედ, რომლის ნეიტრალიტეტს თვითონვე ვითომ მოითხოვდაო. საფრანგეთი ეკვეთა შემოსეულ მტერს, ნელნელა უკან ახევინებს და თქვენ ამ დროს ზავზე როგორ ლაპარაკობთო?!. ეს ხომ შეურაცხყოფაა ჩვენი გმირი ბრწყინვალე ხსოვნისაო. რამდენიმე ჩვენი დეპარტამენტი სავსეა გერმანელებით. მაშინ როდესაც მთელი ერი ყურს უგდებს მის განმათავისუფლებელ ზარბაზანთა გმინვა-გრიალს, თქვენ აქ ზავზე გინდათ ლაპარაკიო. თქვენ გეტყობათ არ იცით ღონე საფრანგეთის დიდ სულოვნობისა და ტყუილად გგონიათ, რომ ის ზავზე თავის გმირთა დაღვრილ სისხლს გასცვლისო. ეს ხომ თანასწორი იქნებოდა იმისა, როგორც უწინ ყოველთვის მოლოდინი გვქონოდა გერმანეთის მხრიდან რაიმე ავი და ბოროტი ზრახვისა. ყოველ დღე იხარჯება ფული, სამაგიეროდ ყოველ დღე ამ 44 წლის განმავლობაში საფრანგეთი მუშაობდა დაჩნეული წყლულით მკერდზე და მიუხედავად ამისა იგი აღსდგა ახალის ღონით და იმდენად მარდად აღმაღლდება, რამდენად გამარჯვება სრული იქნება. თუ თქვენ გინდად მშვიდობიანობა და აყვავება სიმართლისა, ისურვეთ ჯერ სამშობლოს გამარჯვება. ჯერ კი ნუ ეცდებით დაარწმუნოთ ქვეყანა, რომ მას შეუძლიან მიაღწიოს მშვიდობიანობას. და არც არის თუნდ ერთი ფრანგი—რომ მინამდის ეს უნდოდეს, რადგან იგი ჩვენთვის დამამცირებელი იქნება. დეპუტატები ხმაურობით თანაუგრძნობენ ბრიანს. პალატა ადგენს გარეთ გამოაკრას მისი სიტყვა. კამათის გაგრძელება ხუთშაბათს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### უნგრელ სამხედრო მიმომხილველის აზრი

ბუდაპეშტის გაზეთ „პესტინაპლო"-ს თანამშრომელი, გამოჩენილი სამხედრო მიმომხილველი ბაკოსი სწერს: ეხლა მოკავშირეთა უმთავრესი სტრატეგიული მიზანია, მთლიანი ბრძოლის ხაზი გააბან რიგიდან ადრიატიკამდე რუსეთ-გალიცია-უნგრეთ - საბერძნეთ-ალბანეთ-ვალონამდე.

### ნავოსნობის შეჩერება

როტერდამიდან იტყობინებიან: ინგლისის ყველა ნავთსადგური დაკეტილია. ჰოლანდიის სანაოსნო ამხანაგობათ ოფიციალი ცნობა მიიღეს, თქვენი გემები ზღვაში ვეღარ გამოვაო. ინგლისიდან აღარც დეპეშები მოდის.

### გერმანელების ახალი საშინელება.

ფრიდრიხშტატში გერმანელებს უზარმაზარი ცეპელინი დაუმზადებიათ. სიგრძით 240 ადლი. მისი სიფართოვე 32 ათას კუბიკურ ადლს უდრის. ცეპელინზე არის 4 ჯავშანგადაკრული ნავი, და ბაქანი ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველების დასადგმელად. ცეპელინის მოტორის ძალა 4—5 ათას ცხენის ღონეს უდრის. შეუძლიან 4 ვერსის სიმაღლეზე ავიდეს. საათში 120 ვერსს გაივლის. ამ ცეპელინს შეუძლიან ზიდოს 336—394 ფუთი ასაფეთქებელი მასალა. ზედ იმყოფება 30 კაცი.

### ბულგარელების დავლა დრამასა და სერესში.

მცოდნე პირთა ვარაუდით, ბულგარელებს დრამასა და სერესში ხელთ უგდიათ რამდენიმე ას მილიონ დრახმად ღირებული სამხედრო მასალა.

### პრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმი ჰესენისა.

პრინცი ფრიდრიხი დობრუჯში საფრენიდან ნასროლ ყუმბარის ნატეხს უმსხვერპლია.

### მეომართა ვალები და შეძლება.

გერმანეთის მთავრობას ამ ომის განმავლობაში გერმანეთის საიმპერიო ბანკიდან უსესხნია 357 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ინგლისის ბანკს 32 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

მოკავშირე სახელმწიფოებს ოქროს ფულად აქვთ 229 მილ. გირ. სტ.

ოფიციალ ცნობით, ინგლისში დაბანდებულია 140 მილ. გირ. სტერ. მოპირდაპირე სახელმწიფოების ქონება, ხოლო ინგლისს კი მტრის სახელმწიფოებში 115 მილ. გირვ. სტერლინგის ქონება ჰქონია.

# უკანასკნელი დეპეშები

**„ბირჟ. ვედ."-ი აღნიშნავს: ტრანსილვანიის და დობრუჯის ფრონტზე მდგომარეობა თან და თან გართულდაო. მოწინააღმდეგემ დობრუჯის რაიონში დუნაისა და შავზღვის შუა ფრონტი შეამოკლა. რაც შეეხება დანარჩენ ჯარს, რომელიც მოწინააღმდეგეს თადარიგად ჰყავს, სარაილის წინააღმდეგ გაიყვანენ. ცხადია, რუმინელები [illegible] მოიქცევიან და ამიტომ შესაძლოა, რომ დობრუჯის რაიონში ამ მოკლე ხანში დიდი ამბები დატრიალდებაო.**

—

**უნგრეთის პარლამენტში ოპოზიციის წევრმა გრაფმა ბატიანიმ საინტერესო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის შესახებ. მან სთქვა, რომ წინააღმდეგია პოლონეთის განაწილების გერმანეთსა და ავსტრო-უნგრეთის შორის და მოითხოვა ამ ქვეყნის ეროვნული გაერთიანების დადასტურება. ჩვენ უნგრელებსო, გამოიძახა ორატორმა, მხოლოდ ჩვენი ტერიტორიის შენარჩუნება გვინდა და ამდენი მძიმე მსხვერპლის შემდეგ ველით ეროვნული ცხოვრების ნამდვილს და არა მხოლოდ სიტყვიერ აღორძინებასო. შემდეგ ბატტიანიმ უნგრეთის მინისტრ პრეზიდენტისა, საგარეო და სამხედრო მინისტრების გადაყენება მოითხოვა, რადგან მათ მისი აზრით ხალხის ნდობა აღარ აქვთო.**

# ახალი ამბავი

### სასახლეში.

✦ **მეფის ნაცვალს ხადარბაზოდ** წარუდგნენ ქვეითა ჯარის უფროსი პოლკოვნიკი მაჰავარიანი და ცხენოსანთა ჯარის უფროსი პოლკოვნიკი თ-დი ჭავჭავაძე, რომელნიც მათ უმაღლესობის მიერ დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნენ საუზმეზე.

### ქართული დაწესებულებანი.

✦ **მომხმარ. საზ. „მეურნე".** დღეს, 11 ენკენისთვეს, დილის 12 საათზე, „ახალი კლუბის" დარბაზში უნდა განახლდეს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელიც 2 კვირის წინ შესწყდა. კრებამ დღეს უნდა განიხილოს საგანგებოდ არჩეულ კომისიის მოხსენება შესახებ შრომის ფასის გაღებისა გამგეობის წევრთათვის და აგრეთვე უნდა აირჩიოს გამგეობის 2 წევრი. 9 ამა თვეს „ახალი კლუბის" ზოგიერთ წევრებს კერძო თათბირი ჰქონდათ ამ საზოგადოების საქმეების შესახებ. რადგან „მეურნე"-ში მთელი კლუბია წევრად ჩაწერილი, ე. ი. 400 კაცი, თათბირზე სურვილი გამოითქვა, რომ, კლუბის წევრთა ინტერესების დასაცავად და ამასთანავე საერთოდ საზოგადოების საქმეების გასაფართოებლად, თავისუფალ ადგილებზე გამგეობაში კლუბის ორი წევრი იქმნას არჩეული. კანდიდატებად აღნიშნულ თანამდებობაზე დაასახელეს ბ-ნნი ნ. წვერავა, ალ. ლორთქიფანიძე, პ. მამრაძე და ძიძიშვილი.

✦ **სკოლა ჭანეთში.** ქართ. საქ. მოქ. საზ. გამგეობამ დაადგინა გახსნას ჭანეთის სოფელ აბუისლანში სკოლა და ნებართვის მისაღებად შუამდგომლობა აღძრას ტრაპიზონის რაიონის კომენდანტის წინაშე.

# ფუტურისტები

ცნობილია, რომ მოკრძალება არ შედის იმ სათნოებათა რიცხვში, რომელნიც ეგრეთ წოდებული ფუტურისტებს ამკობენ. ქუჩა-ქუჩა სიარული და თავის საკუთარ გენიოსობაზე ყვირილი ოდნავ დასაძრახისადაც არ ითვლება მათ შორის. ამიტომ ალბათ არავის გაჰკვირვებია, როცა ერთს მშვენიერს სექტემბრის დღეს ტფილისს მოკლე და მჭერმეტყველი პლაკატებით ეუწყა, რომ ჩქარა „სახელოვანი მგოსანი-ფუტურისტი ვასილი კამენსკი ჩამოვაო." არც ის იყო გასაკვირველი, რომ ჩამოსვლის შემდეგ ეს მგოსანი თავშიშველი, ყვითელი წინდებითა დ ბაირონისებური ყელსახვევით აღჭურვილი მთავარ ქუჩებზე დადიოდა ვიღაც მანდილოსნებთან ხელი-ხელ გადაჭდობილი. თუ ფუტურისტების სალამომ არტისტიული საზოგადოების თეატრში აუარებელი ხალხი მიიზიდა ეს ალბათ უფრო იმით აიხსნება, რომ პროგრამაში კიდევ უფრო „ძლიერი ნომრები" იყო შეტანილი: ბ. კამენსკის თანამგზავრი, „ცხოვრების ფუტურისტი" ვლადიმირ გოლცშმიტი სხვათა შორის გვპირდებოდა, რომ თავზე ხუთ ფიცარს დაიმტვრევდა ნებისყოფის კონცენტრაციის გამოსაშკარავებლად. ასეთი მომხიბლავი აღთქმის წინაშე სუსტი აღმოჩნდა ტფილისის საზოგადოების ჩვეულებრივი გულგრილობა. როგორც ცნობილია ამ საზოგადოების ნაკლებ განვითარებული ესთეტიური გემოვნება და გონებრივი კულტურა აქვს და უფრო იმას ეტანება, რაც ულიტინებს და აღიზიანებს ნერვიულ სისტემას.

მაგრამ სამწუხაროდ ფუტურისტულმა სალამომ ვერც ძლიერი შთაბეჭდილების მოყვარულთა მოლოდინი გაამართლა. ბ. გოლცშმიტის ფიცრები მეტის მეტად მომცრო ზომის აღმოჩნდა, „ცხოვრების ფუტურისტის" ოინბაზობამ ახალი ვერაფერი უთხრა თბილისელებს, რომელთაც ნადიმის დროს ალბათ ბევრი უკეთესი ხონჩის მტვრეველი და ჭიქის მკვნეტელი უნახავს. სხვაფრივ კი მთელი სალამო ერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს. ეს სიტყვაა უგემურობა. უგემური იყო ესტრადის და კათედრის ზიზილპიპილებიანი დეკორაცია, უგემური იყო ბ. კამენსკის სისხლისფერი საყელო და ბ. გოლცშმიტის დეკოლტე, უგემური იყო მათი სიტყვები ხელოვნებასა და მუშაითობასა, ან კიდევ თმისა და სტომაქის ჰიგიენაზე, უგემური იყო მათი პოეზია, სადაც ერთი მეორეს ეჯიბრებოდა შაბლონი, ცინიზმი და სანტიმენტალობა. ძლიერ დამახასიათებელია რომ „სახელოვანმა ფუტურისტმა", რომელიც თავის თავს ხელოვნების რეფორმატორად თუ რევოლუციონერად სთვლის, თავის ახალს ლექსში „თბილისზე" ერთი ორიგინალური სახე ან გრძნობა ვერ გამოჰხატა და ისეთი გაცვეთილი კლიშეები მოგვცა, როგორიც არის ზურნა და საზანდარი, ლეკური და სართანიანი ქართველი ქალი, ხოლო თავის „ავიაციაში" ვერაფერი დაგვანახვა გარდა პერანგის ამხანაგის და წინდების ასპექტისა: ამით მას ალბათ სურდა გაემართლებინა ერთი თავისი ევროპიელი თანამოაზრე, რომელმაც სთქვა, რომ ფუტურისტი დღეში ოცჯერ უნდა იყოს უზრდელი. სინამდვილეში კი ერთხელ კიდევ მხოლოდ ის დამტკიცდა, რომ რუსის ფუტურისტებს აკლიათ პირადი ხილვის ინტენსივობა და ჭეშმარიტი თავისებურობა და მთელი მათი მოქმედება თუ შემოქმედება მანჭვა-გრეხა, პოზა და მსახიობობაა.

მსოფლიო მწერლობაში ხშირად გვხდება დიდი შემოქმედი, რომელიც ცინიკოსია ბუნებით ან აზროვნებით. ამის კლასიკური ნიმუში ჯ. ბოკაჩიოა. ზოგიერთი მისი ნოველა ცინიზმის შედევრად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ბოკაჩიოს ცინიზმი უბადლო ჰუმორითაა გალხობილი და ამიტომ შეურაცხყოფას არ აყენებს ფაქიზი გემოვნების ადამიანს. ცინიზმი აუტანელი ხდება, როცა სანტიმენტალობასთან არის შეკავშირებული ან კიდევ როცა მას ბუდუარისა და ყავახანის შეხუთული ჰაერის სუნი უდის. აუტანელია როცა ზოგიერთი თანამედროვე მწერალი გაურეცხავ საცვალში ურევს ხელს და თვალების ნაბვით ან ხმის თრთოლით კორსეტებზე და ზონრებზე ლაპარაკობს. თუ არციბაშევები და ვერბიცკის ქალები ესთეტიურად განათლებულ ადამიანში პროტესტს იწვევენ, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი ცინიკოსები არიან, არამედ იმით, რომ მათ ნიჭი არ შესწევთ ცხოვრების მდაბალი და ცინიკური მხარე მხატვრული მწვერვალების მსუბუქ ჰაერში გაახვიონ. ესევე ითქმის რუსის ფუტურისტებზე, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ძალოვანი ეროტიკისა და ფაქიზი მგრძნობიარობის მაგივრად რაღაც გულის ამრევ ვინიგრეტს გვთავაზობენ, ძნელად მოსანელებელს კუპრნარევ მურაბასავით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსული ფუტურიზმი უგვანი შვილია ევროპიული ფუტურიზმისა და ამ უკანასკნელისაგან უფრო ნაკლულოვანებანი შეითვისა ვიდრე ღირსებანი. იქ სადაც ფუტურისტული მოძრაობა პირველად დაიწყო სახელდობრ იტალიაში, მას მართლაც აქვს ერთგვარი რაციონალური საფუძველი. იტალიელი ფუტურისტების მებაირახტრემ მარინეტტიმ ზოგიერთი სადი და საინტერესო აზრი გამოსთქვა თავის მანიფესტებსა და სიტყვებში, მისმა პროპაგანდამ საკმაოდ ძლიერი გამოხმაურობა იპოვა ახალგაზრდა მწერლებსა, მხატვრებსა და მემუსიკეებში. მართალია მარინეტტი მოკლებულია ღრმა აზროვნებასა და დიდ შემოქმედებითი ნიჭს; მართალია, მისი შეხედულებები ხშირად ცალმხრივი და პარადოქსალურია, მაგრამ ავტორის გულწრფელობა და ჭაბუკური გატაცება საკმაოთ ჰფარავს ამ ნაკლებს. კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ იტალიელი ფუტურისტი ხშირად კეთილისმყოფელ ჭეშმარიტებას უმჟღავნებს თავის თანამემამულეებს.

ევროპიულ ქვეყნებს შორის იტალია ყველაზედ მეტად არის დატვირთული ისტორიული მოგონებებით. კლასიკურმა ეპოქამ, საშუალო საუკუნეების ქრისტიანობამ და რენესანსმა აქ დასტოვა უდიდესი და უმშვენიერესი ნაშთები. რომი, ვენეცია, ფლორენცია უზარმაზარ ანტიკვარიულ მუზეუმებს წარმოადგენენ, თვით პაწია პროვინციული ქალაქები და დაბები შედევრებითა და უნიკუმებით არიან სავსე. ყველაფერს სახელოვანი ისტორიის ბეჭედი აზის და ნაციის ყურადღებაც ძალაუნებურად წარსულისკენ არის მიპყრობილი. თანამედროვე მომქმედი ცხოვრებისთვის თითქო ადგილი აღარ რჩება ამდენ დიდებულ სასაფლაოებსა და ძეგლებს შორის. აქ მარხიან დიდი რომაელი მგოსნები და იმპერატორები, დიდი დანტე და პეტრარკა, დიდი მიქელანჯელო და რაფაელი. ამ ბუმბერაზთა ჩრდილი ტატნობს უბნელებს ახლად თვალახილულს, მათი კულტი აფერხებს ახალგაზრდა ნიჭის გაფურჩქვნას. საჭიროა ცეცხლისმფრქვეველი მთის სიცხოველე, არწივის მხედველობა და ნიაგარის ზათქი, რომ მათ გვერდით იდგე, რაიმე ახალი დაინახო და ნათქვამი ვისმე გააგონო.

„პერისა და ჟანის" წინასიტყვაობაში მოპასანმა გულმტკივნეულად აღნიშნა, რომ ნამდვილ მწერალს მძიმე ტვირთად აწევს წარსულ საუკუნეთა ლიტერატურა. თითქო ყველაფერი ითქვა კიდეც და ახალს სათქმელად ზებუნებრივი ძალღონებაა საჭირო. ძველი გზები გაიტკეპნა მეტისმეტად, ახალის გასაყვანად თითქო ადგილი აღარაა დედამიწის ზურგზე. ამ მდგომარეობის წინაშე მარინეტტი რადიკალურ საშუალებებს ურჩევს. რა საჭიროა ბილიკების ფეხით ტკეპნა, როცა ავტომობილით ქროლა და ჰაეროპლანით ფრენა შეიძლება. რა საჭიროა ძველი ფსიხოლოგიის ცეხვა, როცა ჩვენს თვალწინ ახალი ადამიანი იბადება, ახალი პროფილით და თვისებით. ლამარკის ტრანსფორმატული ჰიპოტეზის მიხედვით ფუნქცია ჰქმნის ორგანოს. რატომ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მომავალ ადამიანებს, რომელნიც გამოუკლებლივ პილოტები და მფრინავები იქნებიან, ბიბილო და ფრთებში გამოესხმებათ ფრინველებივით? ყოველ შემთხვევაში უეჭველია დღესვე რომ ადამიანში ისპობა ზოგიერთი მორალური თვისებები, როგორიც მაგალითად გულ-კეთილობა, სინაზე, ოჯახის გრძნობა და სიყვარული. მათი ადგილი მექანიკურმა შთაგონებამ და ლითონის მგრძნობიარობამ უნდა დაიკავოს. სასაცილოა მთვარის შუქზე ოცნება ელექტრონის ბატონობის ხანაში. უაზროა მუდამ სქესობრივ სიყვარულზე ლაპარაკი ინდუსტრიულ ეპოქაში. „ახლა უკვე გვხდებიან ადამიანები, რომელნიც თითქმის მთელს ცხოვრებას უსიყვარულოდ ატარებენ, ფოლადის ფერ ატმოსფეროში. ვიმოქმედოთ ისე, რომ ამ სამაგალითო ადამიანების რიცხვმა იმატოს. ეს ენერგიული ადამიანები სალამოობით ხან საყვარლებს როდი ნახულობენ! სამაგიეროდ ყოველ დილას მიჯნურის კეთილსინდისიერებით რწმუნდებიან, რომ მათი ქარხანა წესიერად მუშაობს".

როგორც ამ სიტყვებიდანაც სჩანს იტალიური ფუტურიზმი ზოგადი კულტურული მოვლენაა და არა ვიწრო ლიტერატურული. ის ეწინააღმდეგება პატრიარქალურ წესწყობილებას ეკონომიურ ცხოვრებაში; კლერიკალიზმს, პაციფიზმს და კოსმოპოლიტურ სოციალიზმს პოლიტიკაში და იცავს მილიტარიზმს, ნაციონალიზმს და დემოკრატიულ ინდუვიდუალიზმს. ზნეობის სფეროში ტრადიციულად განმტკიცებულ იდეალებს უარჰყოფს და უმოქმედო მიმღეობის წინააღმდეგ ენერგეტიზმს ადასტურებს. მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი წარსულის კულტის უარყოფაა. იტალია მიცვალებულთა ბანკიაო, ამბობს მარინეტ-

◆ **ქართ. საქ. საზ. განყოფილება რიზეში.** ქართ. საქ. საზ. მთავარ გამგეობამ დაადგინა რიზეში ფილიალი განყოფილება გახსნას.

◆ **თავშესაფარი სოხუმში.** ქ. საქ. მოქ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: სოხუმში თავშესაფარის დაარსების აწ არსებულ ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავშესაფარის გაფართოება გადაწყვიტოს შეერთებულმა სხდომამ წერა კითხვის და საქ. მოქ. საზოგადოების გამგეობათა.

### მთავრობის დაწესებულებანი

◆ **თბ. კომენდატათ,** როგორც გავიგეთ, გენ.-ლ. გაბაშვილი ინიშნება. გენ. გაბაშვილს ამ დღეებში ბრძოლის ველიდან მოელიან თბილისში.

◆ **საგანგებო წესები.** უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო დაცვის წესები უმაღლესად დამტკიცებული 14 მარიამობისთვეს 1881 წ. ერთი წლით კვლავ გაგრძელებულ იქმნა ე. ი. 1917 წ. 4 ენკენისთვემდის.

### ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ტრამვაის ტარიფი.** 9 ამა თვეს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის თვითმართველობის გამგეობისა. კრებამ 9 ხმით წინააღმდეგ 5-სა დაადგინა: 1) ტრამვაის სამგზავრო შაურიან ბილეთს მიემატოს 1 კაპეიკი; 2) 3 კაპეიკიანი ბილეთი ისევ ძალაში დარჩეს, 3) გაუქმებული დარჩეს გადასაჯდომ ბილეთების ძლევა; 4) საბონემენტო წიგნაკებს მიემატოს 3 აბაზი და ამ რიგად თითო წიგნაკზე დაწესდეს 9 აბაზი. შეერთებული კრების ასეთი დადგენილება წარედგინება განსახილველად საბჭოს მახლობელ კრებას.

◆ **ხოლერა.** 10 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იწყოფებოდნენ: ხოლერიანი 115 და ხოლერის ნიშნებით 5 კაცი. 9 ენკენისთვეს გარდაიცვალნენ: ხოლერიანი 1 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი.

◆ **გადამდები სნეულებანი.** 10 ენკენისთვეს, დილით, ქალაქის საავადმყოფოში ირიცხებოდნენ: ქუნთრუშიანი 79, ხუნაგიანი 17, ყვავილიანი 5, სახადიანი 18, საოფლიანი 147, მუცელათი 13 კაცი.

### სასულიერო უწყებაში.

◆ **საქართველოს ეგზარქოსი მიემგზავრება** ორშაბათს 12 ენკენისთვეს კახეთში, შუამთის მონასტრის და თელავის სასულიერო სასწავლებლის დასათვალიერებლად. 14 ენკენისთვეს, ალავერდობას, ექსარხოსი სწირავს ალავერდის ტაძარში.

◆ **სამისიონერო კურსები.** 8 ენკენისთვეს საღამოს 6 საათზე ერევნის ეპ. დომიანემ აკურთხა ალექსანდრე ნეველის ტაძართან უფასო სამისიონერო კურსები.

◆ **წყალსაყვანი ბოდბის მონასტერში.** 5 ენკენისთვეს, როგორც გვატყობინებენ, არქ. ნაზარის უკურთხებია ბოდბის მონასტრის ახალი წყალსაყვანი, რომელიც ნუკრიანის წყაროებიდან იქმნა გამოყვანილი. წყალსაყვანი 12 ათას მანეთამდე დამჯდარა. ნახევარი ფული სინოდს მიუცია, ნახევარი მონასტერს.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **უპურობა თბილისში.** 9-სა და 10-ს ამა თვეს, თბილისში პურის გამოცხობა შესამჩნევად შემცირდა. აურაებელი ხალხი აწყდებოდა ფურნეებს და თორნეებს და ნახევრად უმცხვარ ცხელ პურებს ერთმანეთს სტაცებდნენ ხელიდან. ვინ თხოულობდა ან წონას, ანუ ხურდას! გუშინ გამგეობამ გუბერნატორისაგან ისესხა მაზრებისათვის მოტანილი 15 ვაგონი ქატო. ნარევი ფქვილი და დაურიგა სხვა და სხვა ამხანაგობას. ნოვიკოვის წისქვილიდან ვიღაც კერძო ვაჭარს ჩამოუტანია 12 ვაგონი კარგი ფქვილი, მაგრამ თითო ტომარას (5 ფუთი) 20 მანეთად აფასებს. როგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობას ნება დაურთავს გაჰყიდოს მან ამ ფასში თავისი ფქვილი.

◆ **სათ.-აზნ. საერობო ბიურომ** განაახლა თვისი მოქმედება. მდივნად ბიუროსი მოწვეულ იქმნა გ. თ. ჟორდანია.

◆ **დაჭრილთა ევაკუაცია.** გუშინ ჩრდილოეთ კავკასიაში გაამგზავრეს 600 დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცი.

◆ **გიმნასტიკურ საზოგადოების „შევარდენის"** მეცადინეობა საზაფხულო დასვენების შემდეგ კვლავ განახლდა. სავიმნასტიკო ვარჯიშობა ვაჟებისა არის სამშაბათობით და პარასკევობით, ხოლო ქალებისა ოთხშაბათობით და შაბათობით. ვარჯიშობა სწარმოებს ვაჟთა მეხუთე გიმნაზიაში (ავლაბარში). იქვე მიიღებენ ახალ წევრებს.

◆ **ექიმი მუხაძე დაბრუნდა ბათომის** ოლქიდან, სადაც საქველ. საზ. დავალებით დაუთვალიერებია ჩურუქსუს საავადმყოფო.

◆ **დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე,** რომელიც სამკურნალოდ იყო წასული, 9 ენკენისთვეს თბილისს დაბრუნდა. მსახიობი მოღონიერებულა და თავს კარგად გრძნობს.

◆ **მსახიობი ვ. გუნია** კარგა ხანია, რაც ავად არის. მსახიობს ბუასილი სჭირს და სისხლისაგან იცლება. უკანასკნელ დღეებში ის ერთობ დასუსტდა და ლოგინად ჩაწვა. ავადმყოფს სწამლობს ექ. შალვა მიქელაძე.

◆ **ტყვეებად წაყვანილ ჯარის კაცთა დახმარება.** 9 ამა თვეს ტყვედ წაყვანილ ჯარის კაცთა დამხმარე კომიტეტმა დაადგინა ფულის შესაგროვებლად შემდეგ ღონის ძიებას მიმართოს: ყულაბები გაიჩინოს, გამართოს პარიკმახერებისა და კინემატოგრაფების დღე, მოაწყოს საღამო ლატარიით, ქალაქის საბჭოს დარბაზში ხელის მოწერა გამართოს, კრება მოახდინოს არტისტულ წრეების წარმომადგენელთა თანადასწრებით წარმოდგენების და საღამოების გასამართად. ამრიგად შემოსული ფულებით საცვლები უნდა იყიდონ და ტყვეებს გაუგზავნონ. გარდა ამისა ეხლავე უნდა გამოიწერონ საქონელი, რათა საშობაო დღესასწაულებისათვის საჩუქრები გაუგზავნონ ტყვეებს.

---

ტი, ის მათ კარგად აჯილდოებს, ცოცხლებზე კი არას ჰფიქრობს. წარსულის ექსპლოატატორები ყოველდღე ჰკლავენ ახალგაზრდა გენიოს პოეტს, მით რომ თავზე ახლიან რომელიმე დიდი მგოსნის მუმიას, რომელიც ხუთი საუკუნის წინათ გარდაცვლილა. ამ მუმიათა, ცხედართა, მესაფლავეთა და საფლავის ქურდთა ლაშქარს ულმობელი ომი უნდა გამოვუცხადოთ. როცა გენიოსი კვდება მის საუკეთესო ნაწარმოებები მასთან ერთად უნდა დაიწვას, რომ მომავალ თაობას ფეხქვეშ არ გადაელობოს. როცა ძველი ტაძრები, კოშკები და დარბაზები ინგრევა მათ განადგურებას ხელი უნდა შევუწყოთ, რომ ადგილი გავუთავისუფლოთ ბანკებს, რკინის გზის სადგურებს, სახალხო სახლებს, ქარხნებსა და ყაზარმებსო. სცენაზე და ლიტერატურაში მანქანა უნდა გამოვიყვანოთ, როგორც ცოცხალი არსება, ესთეტიურ სფეროდან უნდა გავდევნოთ დედაკაცი და სიყვარულისა თუ ღალატის მუდმივ მოტივები. უნდა განადგურდეს ის ცრუმორწმუნოება თითქო ქალის და მშვენიერების ცნებებს შორის აუცილებელი კავშირი არსებობს, უნდა შევეცადოთ, რომ ქალის გარშემო გაიფანტოს რომანტიული ბურუსი და სქესობრივ ურთიერთობას უბრალო ფიზიოლოგიური მოთხოვნილების მნიშვნელობა მიეცესო. ჩვენ კიდევ ვოცნებობთ, რომ ერთს დროს დედა-კაცი ზედმეტი გახდება გამრავლების ფუნქციისთვის და ნებისყოფის კონცენტრაციის შემწეობით მექანიკურ ვაჟიშვილს შევქმნით, მეცნიერულ კანონთა სინტეზს და დაგვირგვინებასო.

მარინეტტის აზროვნებაში უეჭველად ბევრი რამ არის გადაჭარბებული, მაგრამ მის იდეებს ხანდახან გონებამახვილობის და მოულოდნელობის მიმზიდველობაც აქვს. ეს არ შეიძლება ითქვას რუსის ფუტურისტებზე. თუ იტალიაში ფუტურიზმს აქვს ერთგვარი საბუთი არსებობისა, როგორც რეაქციას ისტორიის გაღმერთების წინააღმდეგ, ეს არ შეიძლება ითქვას ისეთ კულტურულად უკან ჩამორჩენილ და ახლად ფეხადგმულ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი ან საქართველოა. ასეთი ქვეყნები ისედაც განძარცვული არიან ისტორიის შემეცნებით აგან, ისედაც უფრო მომავლისკენ იცქირებიან, ვიდრე წარსულისკენ და აქ ფუტურისტები იმ ახირებული ადამიანების შთაბეჭდილებას ახდენენ, რომელნიც ღია კარებს ამტვრევენ სახლში შესასვლელად. რუსის ფუტურისტების საღამოზე ეს ნათლად გამოაშკარავდა. ის ცვლილებები, რაც ამ ვითომდა რევოლიციურ მოძრაობას მოაქვს სავსებით ამოიწურა ზოგიერთ უმნიშვნელო ტეხნიკურ და პროსოდიულ წვრილმანში, სხვაფრივ კი ბ. კამენსკის ისეთი არაფერი უთქვამს, რაც ჩვეულებრივ „პასეისტურ" მგოსნებს ათასჯერ არ ეთქვათ, უფრო მძლავრად და მჭერმეტყველად. მზის სიხარული, თვალების ზეცისკენ მიპყრობა, ბავშვური გულუბრყვილობის ძიება, ცხოვრების საქანაო, ბუნების წიაღში დაბრუნება და სხვა ასეთი ტემები ისევე ძველია, როგორც თვით პოეზია და მათ საუწყებლად საჭირო არ არის არც ფუტურისტული პოზა, არც ფუტურისტული ჯამბაზობა.

**გერონტი ქიქოძე.**

---

# ბოროტ-მოქმედების აღმოჩენა

4 მკათათვეს ქალაქის გამგეობის სახელობაზე თბილისის სადგურზე მოსულა 11 ვაგონი ფქვილი ბაქოდან „ნაკლადნოის" შემდეგი ნომრებით: 31803, 31822, 31863, 31823, 31827, 31825, 31826, 31821, 31820, 31828, 31824, წონით 10828 ფუთი, გამოგზავნილი ტერ-მინასიანცის მიერ.

ფქვილის მისაღებად მისულა საქონლის სადგურზე მეორე გილდის ვაჭარი აკოფ არუთინას ძე არვანიანცი, რომელსაც წარუდგენია მოწმობა ქალაქის გამგეობისა № 2446 და ნაკლადნოების ასლით, რომელზედაც ეწერა: „ამ საქონლის მიღებას ვანდობ ერვანიანცს. ქალაქის გამგეობის წევრი ჯაბარი, საქმის მწარმოებელი ა. ტერტეროვი. 28 მკათათვე 1916 წელი".

არვანიანცმა ხელის მოწერის დროს შემდეგი წარწერაც მოათავსა: „საქონელი მივიღე აკოფ არვანიანცმა ქალაქის გამგეობისათვის".

ყველა ფორმალური მხარე საქონლის მიღებისა შესრულებულ იქმნა, მხოლოდ ორდერი საქონლის გატანის შესახებ სადგურიდან არ იყო წაღებული, რადგან არვანიანცს განეცხადებინა, ფქვილი სხვაგანაა გასაგზავნიო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია უფროსმა ჟანდარმმა ალენიკოვმა.

იმავე დღეს, 4 მკათათვეს, საპატიო მოქალაქემ ქ. განჯისა კონსტანტინე სოლომონის ძემ არამიანცმა წარუდგინა რკინის „ნაკლადნოები": 517524, 517623, 517823, 517624 და 517626 —517633 და განაცხადა რომ ეს ფქვილი ბორჯომში გაეგზავნათ, აკოფ არვანიანცის სახელზე. გამოირკვა რომ არამიანცს ამ ოპერაციაზე აეღო არვანიანცისაგან 4 მან. თითო ვაგონზე. ამ „ნაკლადნოების" ძალით ეს ფქვილი გადატანილ იქმნა ბორჯომში. 16 მკათათვეს მიღებულ იქმნა იქ არვანიანცის მიერ და მოთავსებულ ნალბანდიანისა და მურადიანის საწყობში. რასაკვირველია, ყველა ეს გარემოება ჟანდარმმა ალენიკოვმა, რომელიც ზვერავდა ამ ფქვილს, აღნუსხა საგანგებო ოქმში. როცა ქალაქის გამგეობის წევრმა გაიგო, რომ ჟანდარმს შეუდგენია ოქმიო, მივიდა რკინის გზაზე და განაცხადა, ფქვილის გაყიდვის ნებართვა მე მივეციო, ეს ფქვილი მწარე იყო და გამოსაცხობად უვარგისიო. საქმის გასაცნობად ჟანდარმი ალენიკოვი წასულა ბაქოში და გამოურკვევია, რომ ბაქოში ტერ-მინასიანცს მთელი საწყობები ჰქონია ფქვილისა, ფქვილის გასაყიდად იგი ყოფილა თბილისში და უთხოვია ქალაქის გამგეობისთვის ვაგონები, მაგრამ არ მიუცია. აქვე შეუტყვია, რომ ვაგონების მიღება შეიძლება არვანიანცის შემწეობით, რომელიც მეგობარია ჯაბარისა. ამის შემდეგ საქმეს შესდგომია და 45 ვაგონი მიუღია არვანიანცს ფქვილის გასაგზავნად. ჟანდარმი ალენიკოვი ამით არ დაკმაყოფილებულა, ბორჯომშიაც წასულა 29 მკათათვეს და ექსპერტების შემწეობით გაუგია, რომ თბილისიდან ჩატანილი ფქვილი მშვენიერ ღირსებისაა და არა უვარგისი, როგორც ჯაბარმა განაცხადა და ფუთი 15 მან. და ათ შაურად იყიდება თითო ტომარა 5 ფუთიამი, იმ დროს როცა თბილისში ფასობდა 5 ფუთიანი ტომარა 12 მანეთად.

# სახელდახელო

ბაქოში ბრძანდება მდიდარი ვაჭარი ვინმე ალა მინასიანცი. პური ჩვენი არსობისა მოეპოვება უხვად, მრავალი ბეღელი სავსე აქვს ფქვილით. შეუძენია ფქვილი იგი, რაღა თქმა უნდა, არა „მამაო ჩვენო"-ს წაკითხვით, არამედ ვაჭრობითა და ათას-გვარი ოინებითა და თვალთმაქცობითა. თორემ „მამაო ჩვენო"-ს წაკითხვა ხომ მე და შენც ვიცით, მკითხველო, მაგრამ ბეღლები კი არა გვაქვს სავსე პურითა. თუ დღეს ვიშოვით ხოლმე პურსა ჩვენსა არსებისას, ღმერთს მადლობას ვსწირავთ.

დიახ, ისე ბლომად მოეპოვება თურმე ალა მინასიანცს ფქვილი, რომ მისმა შთამომავლობამ მეორეთ მოსვლამდე სჭამოს ეს ფქვილი, მაინც ვერ შესჭამს. ვერც მთელი ბაქო შესჭამს თურმე ამ ფქვილსა, შიმშილობაც რომ ჩამოვარდეს.

ჩამობრძანდა ალა მინასიანცი თბილისში, გაუგია, რომ ქალაქის გამგეობას შეუძლიან დაეხმაროს, ფქვილი იგი ჩამოიტანოს რკინის გზით თბილისში და მერე ან აქ გაყიდოს, ან კიდევ აქედგან გაგზავნოს იქ, სადაც ხალხს ფქვილი ენატრება.

ქალაქის გამგეობაში უარი უთხრეს. ჩვენ თვითონ თვალები დაგვიჭყეტია— საიდგან და როგორ მოვიტანოთ ფქვილიო. აქვე გაუგია ალა მინასიანცს, რომ ქალაქის გამგეობის წევრს ჯაბარს ჰყავს მეგობარი ვინმე არვანიანცი. წასულა ალა მინასიანცი ჯაბარის მეგობართან ალა არვანიანცთან და უთქვამს:

— ალა არვანიანც, დამეხმარე ფქვილი ჩამოვიტანო ბაქოდგან.

— ლავნეო,—უთხრა არვანიანცმა, ჯაბარმა კი მოინდომოს, თორემ ფქვილი კი არა, თუ გინდა ბაქოს ნავთის წყაროებს სულ თბილისში გადმოვწურამთო.

მართლაც და 4 ივლისს ალა მინასიანცმა ჩამოიტანა თბილისში 11 ვაგონი ფქვილი, ვითომ და ქალაქის გამგეობისთვის.

აღსრულდა ნება ალა მინასიანცისა, ჯაბარისა და არვანიანცის.

ჯაბარმა გასცა ბრძანება:

„ბაქოდან მოსული ფქვილი ქალაქის გამგეობისა, მიეცეს ალა მინასიანცს".

ბრძანება ჯაბარისა აღსრულებულ იქმნა.

ალა მინასიანცმა მიჰყიდა ფქვილი იგი ალა არვანიანცს, ალა არვანიანცმა მიჰყიდა ფქვილი იგი—ალა არამიანცს, ალა არამიანცმა მიჰყიდა ფქვილი იგი ბორჯომის ვაჭრებს—ალა მურადიანცს და ალა ნალბანდიანცს.

ასე და ამ გვარად აუბეს თვალები რკინის გზასა და სხვა ყოველგვარ მთავრობას ჯაბარმა და ფქვილის ალა ვაჭრებმა.

ნათქვამია: არა არის დაფარული, რომელიც არ გამომჟღავნდების.

გამომჟღავნდა ამბავი ესე ფქვილის მოგზაურობისა.

თბილისში რკინის გზის სადგურის ჟანდარმს შეუნიშნავს, რომ ვითომ და ქალაქის გამგეობის ფქვილი არვანიანცს მიუყიდნია არამიანცისთვის ბორჯომში გასაგზავნათ და საყურადღებო ამბავი ესე ჩაუწერია ოქმში.

გამოირკვა ჯაბარის სასიქადულო ოინი.

ჯაბარმა რა შეიტყო ეს, კუდი მოიწვა.

წაბძანდა სადგურზე და გამოაცხადა:

ფქვილი იგი ქალაქის გამგეობისა გავყიდე მე, ჯაბარმა, ვინაიდან ფქვილი წამხდარი არის და საჭმელად არ ვარგა. თბილისის მოქალაქეს კუჭს აუტკიებს. ხოლო ბორჯომის ხალხი ისეთი ჯანსაღი და ისეთი კუჭები აქვთ ბორჯომელებს, რომ ქვას მოინელებენო.

ჟანდარმმა ჰკითხა ჯაბარს:

— მაშ ეგ ფქვილი ქალაქის გამგეობისა გახლავთ?

ჯაბარმა უპასუხა:

დიახ, ჩვენ ეგ ფქვილი გვაწყენს და იმიტომ გავყიდეთო.

ჟანდარმმა არ დაიჯერა. წავიდა ბაქოში და გამოარკვია ყოველივე, რაც მოგახსენეთ. გამოირკვა ჯაბარისა და ალა ვაჭრების ოინები.

მერე ჟანდარმი ბორჯომში წავიდა, გაასინჯვინა ფქვილი მცოდნე კაცებს და აღმოჩნდა, რომ ფქვილი გაფუჭებული კი არა, მშვენიერი ხარისხისა ყოფილა.

თურმე ნუ იტყვით, თბილისში რომ თითო ტომარა ფქვილი (5 ფუთია), 12 მანეთათ იყიდებოდა, ბორჯომში ჯაბარის წყალობით წაღებული ფქვილი იყიდებოდა ტომარა (5 ფუთი) 15 და 16 მანეთათ.

ალა-ვაჭრებმა მინასიანცმა, არამიანცმა, არვანიანცმა, მურადიანცმა და ნალბანდიანცმა ჯაბარის დახმარებით მოატყუეს მთავრობა, თვალთმაქცობითა და ეშმაკობით წაიღეს ვითომ და თბილისის ფქვილი ბაქოდგან ბორჯომში, გაუძვირეს ბორჯომელებს პური ჩვენი არსებისა და მოიგეს ბლომათ ფული.

მე ხოლოთ ერთი რამ ვერ გავიგე და ამას ვერც ჟანდარმი და ვერც პროკურორ-გამომძიებელი გაიგებს:

რათ მოატყუებინა მთავრობა ალა-ვაჭრებს ჯაბარმა. ჯაბარი ხომ ვაჭარი არ არის. ქალაქის გამგეობის წევრია და ღმერთმა დამიფაროს, რომ გულში ეჭვი შევიტანო, რომ ჯაბარმაც ფული მოიგო ასეთი ოინბაზობით. აბა რა საკადრისია...

**ისკანდერ ბეი.**

# მწარე შთაბეჭდილება

(ვუზიარებ ადამ ფორაქაშვილს)

და გამოვედი იმ სახლიდან ცრემლით აღვსილი თვალებით, გულ-დაწყვეტილი! იყო ოჯახი და აღარ არის! სჩქეფდა სიცოცხლე, სუფევდა ფუფუნება და მოისპო ეს ყველაფერი! იშვიათ შემთხვევაში თუ მიგრძვნია ცხოვრების ისეთი ამაოება, როგორიც იმ სახლიდან გამოსვლის დროს ვიგრძენი!

რა გლოვის მწარე სურათი სუფევს, ყოველ ოთახში, ყოველ კუთხეში! რა კუშტი არის გამომეტყველება ყოველი ავეჯისა, ზოგი რამ უკვე დიდ ზონდუკებში ჩაჰყრილა სხვა, მისთვის სულ უცხო, სულ უცნობ ბინაზე გადასავლელად. ყველაფერი მირეულ-მორეული, აყრილ-დაყრილი, გასატან ბარგად გამზადებული!

ჭირისუფალი, ახლობელნი, მოსამსახურენი, ძაძით მოსილნი, მწარის მდუმარებით შავი ლანდებივით დატრიალებენ.

ღრმა მდუმარებას ხან-გამოშვებით ერთმანეთის შეკითხვით თუ დაარღვევენ.

გლოვის ზარად ისმის დეზების წკრიალი ვიღაც სამხედრო პირისა. ის, იქ მყოფთაგან სრულიად დამოუკიდებლად, თავის ნებაზე დადის ოთახებში და მუშტრის თვალით ათვალიერებს.

ვიგრძენი, რომ ეს წკრიალი ჭირისუფალს ლახვრად ხვდებოდა. იმან იცის, რომ მარტო ერთმა ფიქრმა, შიშმა, რომ ამ სახლში სხვები დაბინავდებოდნენ, სიცოცხლე მოუსწრაფა მის პატრონს, მისთვის ძვირფას არსებას. ოჯახის უკანასკნელ ბურჯსა და ბი ჯერ არც კი გაცივებულიყო მისი ცხედარი, ჯერ არც კი შეშრებოდა მას პირველი ცრემლი თვალზე, რომ ეს, განსვენებულისთვის საზარელი ფიქრი, უკვე სისრულეში მოდიოდა: იმის საყვარელს, უმშვენიერესად მორთულ-მოკაზმულ, ჩახატულ სახლებში ტლანქი არსებანი მოიკალათებენ. საზარელი და აუტანელი იყო ეს ფიქრი მისთვის და თმებში ხელ-წავლებული, უმწეოდ ქვითინებდა...

უნებურად გავიმსჭვალე მისი მწუხარებით და მორიდებით ბაღისაკენ გავედი. მინდოდა უკანასკნელად ის ქალური ბაღიც მენახა.

აქ კი ყველაფერი ისევ თავის ალაგასა სდგას, მაგრამ თითქო ველარ არის ისე მომხიბლავი, ხეებს თავ-პირი ჩამოსტირით, ვარდი ნაღვლიანად ქანაობს ობოლ ბუჩქზე, გრძნობს, რომ მას არას დროს აღარ შეეხება ტკბილი ხელი მისი დამრგველისა და სტირის... სტირის...

აუზის გაშლილი ქოლგაც მხიარულად აღარ სჩქეფს, თითქო ისიც ბევრის ტირილით დამშრალა...

მწარე, მეტად მწარე სურათად გადამეშალა ეს ყველაფერი და გულაჩუყებულმა ვაფრქვიე ცრემლები.

მაგრამ ჩემს თავს მაინც ვერ ვაძლევ ნამდვილ ანგარიშს, თუ რად მწყდება ასე გული იმ სახლიდან სამუდამოთ გამოსვლით? ხშირი სტუმარი ხომ მაინც არასდროს არა ვყოფილვარ მისი და რად უნდა იყოს ჩემთვის მისი დაკარგვა ასე საგრძნობი?

მართალია, დავით და ეკატერინე სარაჯაშვილები ცნობილნი და პატივცემულნი პირნი იყვნენ ჩვენს ცხოვრებაში თვისი ქველმოქმედებით შრომის უნარით, პურ-მარილით, ვიცნობდით მათ მეც და ერთგვარი კარგი დამოკიდებულება მეც მქონდა მათთან, მეტადრე ეკატერინესთან და მათი სიკვდილი, მათი სახლის დაცარიელება, კარის გამოხურვა სამუდამოთ, დიახაც დამაღონებდა, წყენას მაგრძნობინებდა, მაგრამ ეს გრძნობა მაინც არ არის ის გულის ტკივილი, რომელიც მე მათის ბინის დათვალიერებისა და სამუდამოთ გამოთხოვების დროს ვიგრძენი. აქ თითქო რაღაცა უფრო ფართო, უფრო საზოგადოა.

გამახსენდა ის, სულ მოკლე წარსულის დრო, როდესაც განსვენებულმა ეკატერინემ ჩვენი თავად-აზნაურობის სახელით ხელმწიფე მიიღო ამ სახლებში. როგორც ქართველი, ისე ვიყავი თავ-მოწონე, რომ ჩემი მოდგმის ადამიანს შეეძლო ღირსეულად მიღება თვით ხელმწიფისა, რომ ნადიმის დასრულების დროს, სიამაყითა და თან მადლობის გრძნობით აღვსილმა, მოვალეთ ჩავთვალე ჩემი თავი, ღირსეული დიასახლისისათვის, როგორც საზოგადოების წევრს, უგულითადესი მადლობა გადამეხადნა.

და ვგონებ, რომ სწორედ ამ გრძნობასთანა აქვს ჩემს წუხილს კავშირი, სწორედ ამ მხრივ უნდა მაღონებდეს გადამეტებით იმ საუცხოვო სახლის დაკარგვა; რომ მას გამოეთხოვნენ არა მარტო დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები, არამედ ქართველობაც; რომ ის სიმდიდრე—სახლი კუთვნილება იყო არა მარტო დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებისა, არამედ მთელი ქართველობისა და ხელიდანაც ამ ქართველობას გამოეცალა.

ესეთი აზრი კი შედეგი უნდა იყოს იმის, რომ ორივე ცოლ-ქმარი სიცოცხლეშივე საზოგადოთა სთვლიდა თავისს ოჯახს თუმცა სიცოცხლეშივე იყო ის სახლი ჩვენთვის ზოგიერთ შემთხვევაში თავის გამოსაჩენად და სიკვდილის შემდეგ ხომ მთელი მათი დიდი ქონებაც ჩვენზევე გადმოვიდა.

და ეხლა რომ ესეთი მამულის-შვილები სამუდამოდ გამოეცალნენ იმ სახლ-კარს—გადამეტებულად, ამიტომ არის ეს გულის დამწყვეტი.

დიახ, იყო ოჯახი და აღარ არის!

გადმოდიოდა ბარაქა და ჩამოილია!

სჩქეფდა სიცოცხლე და ჩამოწყდა, დაშრა!..

ულმობელია ბედის-ტრიალი, ულმობელი.

**ნინო უღფიანისა)**

# „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველის"

(ქართული ანდაზა)

კაცისაგან კაცის საქციელისა, მოქმედებისა და მიმართულების შეფასება, ე. ი. მოწონება ან წუნის დადება, ქება ან დაგმობა და უვარგისად ცნობა სულ ჩვეულებრივი მოვლენაა ცხოვრებაში. უამისობა არც შეიძლება: თვითეული საქციელი ადამიანისა, კაცის ყოველი აზრი, შეხედულობა და რწმენა ან სასარგებლო და სასიკეთო უსათუოდ მოყვასთათვის, ან ფუჭი, მავნე და საზარალო. პირველ შემთხვევაში საქებური და მოსაწონია საქციელიცა და აზრიცა, მეორეში კი დასაგმობ-გასაკიცხი. ეს კია, რომ სხვათა საქციელისა და რწმენათა შემფასებელს სულიცა და გონებაც გამთბარი უნდა ჰქონდეს სიმართლის სიყვარულით, სხვების საქციელთა გამკიცხავი აუცილებლად უნდა თვით აღემატებოდეს მისგან აუგად ნახსენებ პირებს გონებითაც, მიმართულებითაც და პირადი ცხოვრებითაც. უამისოდ მას არავითარი უფლება არა აქვს, რომ სხვების საქმეთა მსაჯულად გამოვიდეს. ეს აზრი მოხდენილადაა ჩამოყალიბებული წერილის სათაურად მოყვანილ ანდაზაში: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველისო".

ნათქვამი გამახსენა ვინმე „ძველი ავტოკეფალისტის" წერილმა, რომელიც მიმდინარე წლის მარიამობისთვის 27 გადმოუბეჭდია „პეტროგრადის უწყებებიდან" გაზეთ „საქართველოს". ბ. „ძველი ავტოკეფალისტი" გაუმწარებია და აუშფოთებია იმ გარემოებას, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ქართველი ეპისკოპოსები და სამღვდელოება ყელში არ ეწვდით სინოდის ყოფილ ობერ-პროკურორს ბ. ვოლჟინს და ხელიდან არ გამოგლიჯეთ მას ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა. „საკვირველიაო", ბრძანებს გულდაწყვეტით ბ. ძველი ავტოკეფალისტი, „როგორ ვერ გამოიჩინეს გამბედაობა ქართველმა ეპისკოპოსებმა ლეონიდმა, გიორგიმ, ანტონიმ, პიროსმა და პირდაპირ ვერ უთხრეს (ვოლჟინს), რომ იღუპება საქართველოს ეკლესია, რომ მას სჭირდება ავტოკეფალია, ან და სრული დამოუკიდებლობა კანონიურ უფლებებით... ჩვენს სამღვდელოებაში თვითეული კერძოთ და ათ რიცხვში თვით ეპისკოპოსებიც—ვეფხვები და ლომ-გმირები არიან, რასაკვირველია, თავის ბინაზე, შინ! მაგრამ, სადაც ცოტაოდენი თავის გამოდება, დამოუკიდებელი ნების ყოფა და თავის განწირვა არის საჭირო, იქ ენა სასაზე აეკვრებათ ხოლმე... ეპისკოპოსი ლეონიდი საქართველოს ეკლესიის ხსნას იმაში ხედავს, რო საქართველოს ეკლესიის კათედრები თავის მოგვარეებს მისთავაზოსო" და სხ. და სხ. რასაკვირველია, არც გიორგის, არც ანტონის, არც პიროსს, არც ნაზარის და არც სხვას ვისმეს ჩემი ვექილობა და გამოსარჩლება არ ესაჭიროებათ და არც მე ამოვიღებ ვისმეზე ხმას. ეს კი არა, მეც სრულებით ხმას არ აუბამდი ბ. „ძველ ავტოკეფალისტს", მისი წერილი რომ მარჯვე შემთხვევას არ მაძლევდეს გავაცნო ქართულ საზოგადოებას, თუ რა არის ნაწილობრივ გარიგებული ავტოკეფალიის საკითხში და როგორი მოქმედებაა საჭირო დღეიდან ამ საქმის წინ წასაწევად. გაბედულად და საჯაროდ ვაღიარებ, რომ ავტოკეფალიის საკითხში ქართველ სასულიერო პირთაგან მხოლოდ და მარტოოდენ ყ-დ სამღვდელო კირიონს ვთვლი ჩემ სწორად და ღირსეულ ამხანაგად. ამითი არც ვტრაბახობ და არც თავს ვიწონებ, ხაზს ვუსვამ მხოლოდ შიშველ ფაქტს, რეალობას, თვალით სახილავ სინამდვილეს. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ქართული ეწიგნობრობის მიმდევარი კაცი მიეჯინებოდა ავტოკეფალიის საქმეში სიმხდალეს და გაუბედაობას. მაგრამ, როგორც ვრწმუნდები, ჩვენში ყველაფერი მოსალოდნელი და შესაძლო ყოფილა!

ავტოკეფალიის საქმეში არასოდეს ფარულად და შეცვლილი სახელით არ ვმოქმედებ. თუ ვილაპარაკია რომლისმე ამ საკითხის შესახებ, მილაპარაკია დიდ კრებებზე და საჯაროთ, თუ დამიწერია რამე, უსათუოდ საკუთარი სახელი მოვიწერია. „ძველი ავტოკეფალისტი" კი, რომელიც გაუბედაობას [illegible], [illegible], [illegible], რომ ერთი მხრით თავისი [illegible], მეორე მხრით კი [illegible] წყალობით [illegible] ავტოკეფალიის

საკითხში თავისი საკუთარი მოღვაწეობის სრული არარაობა და უნაყოფობა. აი ამას ჰქვიან, „ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“. სწორუპოვარო გმირო, ნუ მორცხვობ, დაგვანახვე შენი ლამაზი სახე!

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს სათაურად და საფუძვლად დაედო ჩემ მიერ 1905 წელში სინოდში შეტანილი ვრცელი **მოხსენება** აუცილებელი საეკლესიო რეფორმების შესახებ. ეს მოხსენება თავის დროზე რუსულმა ორგანოებმა დაბეჭდეს და დიდი აურ-ზაური გამოიწვია მემარჯვენეთა ბანაკში. სინოდი მოხსენების წარდგენას ავალებდა იმ დროის ყველა ქართველ მღვდელთმთავრებს, მაგრამ ჩემს მეტს არავის არ წარუდგენია და ჩემი მოხსენება დღესაც ობლად გამოიყურება იმ უშველებელი ზომის ტომიდან, რომელშიაც მოთავსებულია რუსეთის მღვდელთმთავრების მოხსენებანი.

2) ნაჩვენებმა ჩემმა მოხსენებამ დაბადა ჩემდამი რწმუნებულ სამღვდელოებაში აზრი ავტოკეფალიის მოთხოვნისა პეტიციით;

3) ჩემი მეთაურობით ყველა ქართველ მღვდელმთავარმა წერილობით მოვითხოვეთ ვისგანაც ჯერ იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა;

4) ჩემი ნაწერების გამო სინოდში შესდგა ცალკე კომისია საქართველოს ეკლესიის საქმეების მოსაწყობათ და სხვათა შორის 1906 წელში მე და ყ-დ სამღვდელო კირიონიც ვიყავით გაწვეულნი კომისიაში სამუშაოთ. კომისიის წევრებმა გვერდი აუქციეს ჩემგან ცენტრალურ საკითხად დასმულ ავტოკეფალიის საკითხს, საკუთრად შეადგინეს ოქმი, რომელიც მათი შეხედულობით, ყოველ მხრივ ჰკურნავდა და აკმაყოფილებდა ქართულ ეკლესიას და გამომიგზავნეს მე ხელის მოსაწერათ. ზედ ამ ოქმზე 3 თებერვალს 1906 წელს წავაწერე ცხარე პროტესტი და უბრალო პალიატივად ვცანი კომისიისაგან ნაჩვენები ზომები. ყოფილი ობერ-პროკურორი გაოცდა ჩემი გაბედულობით და დამექადნა სოლოვეცკის მონასტერში გაგზავნას;

5) პირველ მუხლში აღნიშნული ჩემი მოხსენება, რომელმაც მთელი ლიტერატურა დაბადა რუსეთში და ჩვენში, გადაეცა გასარჩევად რუსეთის ეკლესიის კრების წინასწარ კომისიას. ნაჩვენებ კომისიის ოქმებში დაწვრილებით არის გამოყვანილი, რა უნარითა და გაბედულობითაც ვიცავდი საქართველოს ეკლესიას ყ-დ სამღვდელო კირიონთან და პეტროგრადში მყოფ ქართველ პროფესორებთან ერთად.

6) იმავე 1906 წელში სასულიერო ჟურნალ „მწყემსში“ დავსტამბე ქართული სამღვდელოების საყურადღებოდ დამახასიათებელი წერილი, რომელიც არც დღეს არის მოკლებული მნიშვნელობას.

მარად ავტოკეფალისტი
ეპისკოპოსი ლეონიდი

(დასასრული იქნება)

# სვანეთის საერთავროს უკანასკნელი დღეები

(ისტორიული ამბავი)

(დასასრული.)

პოლკოვნიკმა უსლარმა გაგარინს შეშოუთვალა: „თავ. კონსტანტინეს მოქცევას მე ვთვლი ხაფანგში უეცრად გაბმულ მელიას ოინად, სვანეთში მაგის გარდა კიდევ დარჩნენ ორი მაგისი ძმები ისლამი და თენგიზი და ამისთვის მე საჭიროთ ვთვლი განვაგრძო გზა სვანეთისაკენო“.

პოლკოვნიკ უსლარს სვანეთში დიდი არაფერი გაურიგებია. ჩქარა ისევ ქუთაისში დაბრუნდა და მთელი ტომი მოხსენებისა სვანეთის შესახებ წარუდგინა გაგარინს. გაგარინმა ეს მოხსენება და თითონ თავ. კონსტანტინე თავ. ბარიატინსკის გაუგზავნა თბილისში.

ბარიატინსკიმ არც კი ინახულა თავ. დადიშქელიანი და ისევ უკან ქუთაისში გაგზავნა. დადეშქელიანს თან გააყოლეს პოლკოვნიკი ბარტოლომეი, კაცი მეტად სასტიკი და უხასიათო. პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ თითქოს თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, როდესაც დადეშქელიანს გაატანეს და ეს იყო მიზეზი, რომ ის ცოტა უდიერათ ექცეოდა დადეშქელიანს.

თავ. კონსტანტინე დადეშქელიანი მეტად ლამაზი, მაღალი, შესანიშნავი ღონისა და მშვიდობიანი კაცი იყო მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზედ. თუმცა თავისი სიცოცხლე სვანეთში გაატარა, სადაც გარს ეხვია მას მკვლელობა, გამცემლობა, მუდამ თოფ-იარაღი და მოუსვენარი ცხოვრება, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც არ იყო მოკლებული უმაღლეს ცხოვრების იდეალებს. თითონ გაუნათლებელი იყო, მაგრამ მეტად აინტერესებდა საუბარი ევროპიელ აღზრდა-განათლებაზედ და დიდი სურვილი ჰქონდა აღეზარდა შვილები ევროპიულად.

სვანეთის თავისუფალი შვილი მეტად ცუდად გრძნობდა თავს ქუთაისში, განსაკუთრებით მის შემდეგ, როცა გაიგო, რომ სვანეთში დაბრუნების ნებას აღარ აძლევდნენ.

ერთხელ ვიღაც ცრუ ექიმმა ურჩია კონსტანტინეს წერილით მიემართა ნაპოლეონ მე-III და ეთხოვა შუამდგომლობა რუსის მეფესთან, რომ შეემსუბუქებიათ მისი მდგომარეობა. ექიმმა რამდენიმე მანეთი აიღო და კიდევაც შეუდგინა წერილი ნაპოლეონ მე-III. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა პოლკოვნიკ ბარტოლომეის, რომელმაც მას პოლიტიკური ხასიათი მისცა. გაგარინი უფრო პატიოსანი კაცი იყო, არ უნდოდა მიექცია ამ წერილისათვის ყურადღება, მაგრამ ბოლოს ისიც დაიყოლიეს ნებას და გადასწყვიტეს კონსტანტინე ქალ. ერივანში გაეგზავნათ.

20 ოქტომბერს, 1857 წელს, გაგარინს ბრძანება მოუვიდა კონსტანტინე დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ერივანში საცხოვრებლად. ამ განკარგულებამ თავ. კონსტანტინე ბრაზზე მოიყვანა, ველარ მოითმინა ასეთი შეურაცხყოფა და იქვე ხანჯლით მოჰკლა გუბერნატორი გაგარინი და მასთანვე რამოდენიმე მისი მსახურიც.

კონსტანტინე შეიპყრეს, პასუხისგებაში მისცეს და დახვრეტა გადაუწყვიტეს.

სრულიად უბრალოდ დაიღუპა თავი გუბერნატორმა გაგარინმა. ის სხვერპლი გახდა თავისი უბრალო მოუფიქრებელი და მოუსაზრებელი განკარგულებისა. მისი თხოვნისა და განკარგულების ძალით იქმნა ბრძანება, რათა კონსტანტინე ერივანში გადაეყვანათ საცხოვრებლად.

არც ხელმწიფე იმპერატორსა და არც საქართველოს მთავარ მართებელს არ უნდოდათ კონსტანტინე დადიშქელიანს სასტიკად მოპყრობოდნენ.

11 ენკენისთვეს 1857 წ. გამოქვეყნებული იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით თავ. ისლამი და თენგიზი გადაესახლებინათ რუსეთში, როგორც მკვლელნი თავ. ჯანსუხისა. თავ. კონსტანტინესათვის უნდა დაებრუნებინათ ჩებუხევის მამული, მხოლოდ უგანათლებულესის ტიტულის მაგიერ მას უნდა ჰქონოდა ტიტული ბრწყინვალებისა. ეს უმაღლესი ბრძანება ვერ იქმნა მოყვანილი სისრულეში საჩქაროდ მისთვის, რომ სვანეთიდან იბარებდნენ ისლამსა და თენგიზს და ისინი კი არ მოდიოდნენ ქუთაისში გამოსაცხადებლად. ეს უკანასკნელნი, რომ დროზედ გამოცხადებულიყვნენ თავ. კონსტანტინეც აღარ გახდებოდა მსხვერპლი უბრალო შემთხვევითი განკარგულებისა.

თავ. კონსტანტინეს დახვრეტის შემდეგ რუსის მთავრობა შიშს მიეცა, რომ ძმები კონსტანტინესი სამაგიეროს გადუხდიდა მათ და ვინმე გახდებოდა მსხვერპლი მათი იარაღისა. ამისათვის გადასწყვიტეს უსათუოდ კონსტანტინეს ძმები გადაესახლებინათ შორეულ რუსეთში. ეს განკარგულება სისრულეში მოიყვანეს ერთი წლის შემდეგ, ისიც მაშინ, როდესაც ერთი მათგანი პორუჩიკი ალექსანდრე დადეშქელიანი გადაიყვანეს შორეულ ციმბირში სამსახურში. ალექსანდრე ისე კარგად მიიღო ციმბირის გენერალ-გუბერნატორმა მურავიოვმა—ამურსკიმ, რომ ალექსანდრეს გული მოულბა და თავის ძმებს სწერდა დამორჩილებოდენ ხელმწიფე იმპერატორის ნება-ყოფილებას. ამ დადიშქელიანების მამული რუსის მთავრობამ შეიყიდა 150 ათას მანეთად.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს და შეერთებულ იქმნა ბეჩოსი და ეწერის მთავარიც თავ. თენგიზ დადეშქელიანი. შუამავლად არჩეულ იქმნა ცებელდის უფროსი თავ. მარშანია, რომელმაც ნებას დაიყოლია თენგიზ დადეშქელიანი და უარი განაცხადა იმ ავტონომიაზედ, რომელიც მინიჭებული ჰქონდა მას უმაღლესად 1833 წ.

ამნაირად მოისპო თავ. დადეშქელიანების სამფლობელოს ავტონომიები.

რაიცა შეეხება თავისუფალ სვანეთს, ის უფრო ადრე და უფრო იოლად იქმნა შეერთებული რუსეთთან.

მე-40 წლებში იქ გაიგზავნა დეკანოზი ქუთათელაძე მისიონერად. ქუთათელაძემ დიდი სიყვარული და ნდობა მოიხვეჭა სვანეთში, ბევრი მათგანი გააქრისტიანა. მისი რჩევით სვანებმა დეპუტაცია გაგზავნეს თბილისს ვორონცოვთან, რომელსაც სთხოვდენ მიეღოთ მათი მხარე მათ მფარველობაში. 1847 წ. თავისუფალი სვანეთი გამოცხადებულ იქმნა რუსეთის საბოქაულოდ. სვანეთის გასაცნობად ვორონცოვმა გაგზავნა იქ პოლკოვნიკი ბარტოლომეი, რომელმაც ხალხს ფიცი მიაღებინა და დააარსა მალახო-იფარის საბოქაულო. ეს საბოქაულო ემორჩილებოდა რაჭის მაზრის უფროსს.

პირველი ბოქაული, რომელიც დაინიშნა სვანეთში იყო თავ. მიქელაძე.

მიქელაძე საუკეთესო მოხელეთ ითვლებოდა. მართლაც, რომ ძალიან მოწადინებული იყო ისე მოქცეულიყო, რომ სვანების გული მოეგო. მიუხედავად მისი გულკეთილობისა სვანებს მაინც არ ეპიტნავათ რუსის მოხელის ზოგიერთი კანონები, და ოთხი თვის შემდეგ მას ბარგი აუკრეს. 4 თებერვლის 1849 წელს, მიქელაძე იძულებული შეიქმნა სამეგრელოში გაქცეულიყო და იქ შეეფარებინა თავი.

როდესაც ეს ვორონცოვმა გაიგო, გაჯავრებულმა ბრძანა მოესპოთ სვანეთის საბოქაულო და თავისუფალი სვანეთი სრულად გამოერიცხათ რუსეთის სამფლობელოდან. მთელი სამი წლიწადი თავისუფალი სვანეთი ისევ შინაურ მართვა-გამგეობას მიეცა. მაგრამ ჩხუბმა, განხეთქილებამ და უთანხმოებამ ისევ ჩქარა იჩინეს თავი, ამისათვის სვანებმა 1852 წელს ისევ მიმართეს ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს დაენიშნათ მათთვის რუსის ბოქაული. როგორც გაგარინი, ისე ვორონცოვი დიდხანს ყოყმანობდნენ და არ უნდოდათ სვანეთში დაენიშნათ ბოქაული, იცოდენ, რომ იქ რუსის კანონები და ბოქაული ვერას გააწყობდნენ. ბოლოს იმ შიშის გამო, რომ სვანები არ მიმხრობოდნენ სხვა მეამბოხე მთიულებს, რომელთანაც მაშინ საქმე ჰქონდა რუსის მხედრობას, ვორონცოვმა ბრძანა ბოქაულის დანიშვნა. ბოქაულად ისევ თავ. მიქელაძე დანიშნეს, მაგრამ განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელიც უფრო უახლოვდებოდა სვანების ზნეჩვეულებას და ცხოვრებას.

ბოლოს მთელი ზემო სვანეთი ერთ საბოქაულოდ გადააკეთეს. 1859 წელს იქ ბოქაულად დანიშნეს მოხუცებული კაპიტანი თავ. ამირაჯიბი.

ეს უკანასკნელი ისეთ კარგ მოხელედ გამოდგა, რომ მთელი სვანეთში მან მამის სახელი მოიხვეჭა. სვანები ამირაჯიბს ბოქაულის მაგიერ მამას ეძახდნენ. რუსის მთავრობისათვისაც ის კარგი მოხელე გამოდგა, ვინაიდგან ეს პირველი კაცი იყო, რომელმაც სვანებს რუსის მთავრობა ცოტათი-თუ ბევრად შეაყვარა.

ავ. აბესაძე.

# მებრძოლი სახელმწიფონი

გერმანეთი.

II

როგორც დავინახეთ, ბისმარკმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარა გერმანეთის იმპერიას 1871 წელს. ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მაგალითი ომის შემდეგ სახელმწიფო ასე სწრაფად გაზრდილიყოს და აღორძინების გზას დასდგომოდეს, როგორც ეს ახალგაზრდა იმპერია დაადგა ამ სახელოვან გამარჯვების შემდეგ. საფრანგეთთან ომის დაწყებამდე გერმანეთი ულარიბესი ქვეყანა თუ არა, ყოველ შემთხვევაში დღევანდელ ბელგიაზე და მით უმეტეს ინგლისზე და საფრანგეთზე დაბლა იდგა. მსოფლიო ბატონთა შორის მას მეექვსე ხარისხოვანი ადგილი ეჭირა. არავინ იცოდა მისი მრეწველობა ანუ ვაჭრობა რაში მდგომარეობდა. უმთავრესად მთელი ეს ქვეყანა მიწადმოქმედებას მისდევდა და მითი ირჩენდა თავს. მაგრამ აი, დასჯაბნა ერთი პირველთაგანი—საფრანგეთი და შეიცვალა როლებიც. მალე მიწათმოქმედე ქვეყნიდან გერმანეთი გახდა მრეწველობისა და ვაჭრობის ქვეყანად. ახალი მიმართულება იმდენად სარფიანი გამოდგა, რომ თვით გლეხობამ უკანა პლანზე დააყენა ხვნა-თესვა და თავიანთ მინდვრებზე დაიწყეს ჭარხლის მოყვანა, რა არის შაქრის ქარხნებისათვის შეეწყოთ ხელი, სთესდნენ სხვა და სხვა სამრეწველო მცენარეს, სელს, თამბაქოს.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას დიდად ხელი შეუწყო სამხედრო კონტრიბუციამ, იმ ხუთ მილიარდმა ოქრომ, რომელიც პარიზიდან შემოჰზიდეს რაინის ნაპირებზე. ოქრომ შეაძლებინა გერმანელთ სამეტალურღიო ქარხნები გაეხსნათ, რომელთა მეთაურად გამოვიდა კრუპპი ქალაქ ესენში ვალდი, დორპი, ბურშაიდი, ლაიპლინგენი და მრავალი სხვა,—აი ის ქალაქები, რომელთაც თუჯისა, რკინისა და ფოლადის მრეწველობით მთელს მსოფლიოს გაუსწრეს წინ და ერთი მეტოქეც აღარ ჰჩანთ. ასეთივე სასწაული მოახდინეს ქვანახშირის მრეწველობით. 1870 წლამდე გერმანეთს ამ მხრივ არ იცნობდნენ. შემდეგ კი, მთელი რურას აუზი, ვესტფალიაში ესსენის აღმოსავლეთით, ქალაქი დორტმუნდი უეცრივ გაიზარდა, მცხოვრებთა რიცხვია მალე 300 ათასამდე მიაღწია და მისი ქარხნებიც მსოფლიოზე საყვირსა სცემენ. იგი ცენტრადა ჰხდება, რომელიც თავისთან ერთად ააყვავებს გარშემო მდებარე ქალაქებს, როგორც მაგალითად ჰელზენკირხენს, შალკეს, იუკენდორფს, ვიტტენს, ვატტენშიდს და მრავალს სხვას.

თუ შემოტანილმა ოქრომ ასეთი სამსახური გაუწია გერმანელთ, შემოერთებულმა ახალმა ქვეყანამ ელზას-ლოტარინგიამ თავისი წვლილი შეიტანა მის სიმდიდრის უზრუნველყოფაში. ელზას-ლოტარინგია სახარბიელო იყო გერმანეთისთვის არა მარტო იმ მხრივ, რომ ორი მილიონი მცხოვრები კიდევ შეემატა, არამედ იმიტომ უფრო, რომ ეს ქვეყანა ერთი უმდიდრესი კუთხეთაგანი გახლდათ. მის შემოერთებისათანავე გერმანეთის იმპერიაში ორჯელ გაიზარდა ბამბეულობის მრეწველობა. ამ მხრივ ელზასმა გახადა იგი მსოფლიოში პირველ ქვეყნად. ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველს დარგში იზრდება გერმანეთის ძალ-ღონე, იზრდება და იფურჩნება მისი ნივთიერი მხარე. ქარხნების საოცარმა ზრდამ ის ნაყოფი მოუტანა, რომ გერმანეთი ამ მხრივ ოც მილიარდს მარკას იჩხრიალებს წლიურად, ესე იგი ცხრა მილიარდ მანეთადმე. თუ რა ფულია ეს ფული, იქიდანაც შეგვიძლიან გავითვალისწინოთ, რომ მთელს რუსეთში წლიურად ყოველს დარგის ფაბრიკა-ქარხანაზე თვით იმის ნახევარსაც არ ამუშავებენ, რასაც გერმანეთი მარტო ამ მოგებას იღებს.

გერმანეთის ზრდას ყველა სახელმწიფონი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ, მაგრამ მაინც ვერას ახერხებდნენ, რომ როგორმე ფრთები შეეკრათ. ის კი არა, თვით გერმანეთმა მოქმედება მალე მეტროპოლიიდან გარედაც გაიტანა. მას ვხედავთ ინგლისისა და საფრანგეთის ახალშენებში, ყოველგან მის საქონელს ეზიდებიან ბაზარზე, ინგლისელები და ფრანგები იძულებული ჰხდებიან მათგან იყიდონ და შემდეგ თავიანთ ქვეყნებს მისთავაზონ საჭირო საქონელი. ასე მიდიოდა გერმანეთი განდიდებისაკენ, ასე შეუსვენებლივ იზრდებოდა ყოველი მხრიდან. მთელი ქვეყანა მოიფინა უამრავი რკინის გზებით. შიგნით თუ გარედ მისმა ვაჭრობამ და მრეწველობამ ახალგაზრდა სახელმწიფო უძლიერეს სახელმწიფო ამოუყენა გვერდით და მალე მათი პირველობის კვერთხი იგდო ხელთ. სავაჭრო ფლოტი რაინზე თუ ზღვებზე თვალს უყენებს ინგლისისას. მალე სამხედრო ფლოტითაც იმაგრებს ფრთებს. ეხლა გერმანეთის ფლოტი ერთად ერთს ინგლისისას თუ ჩამოუვარდება, თორემ მსოფლიოზე სხვა მეტოქე დიდი ხანია მოიშორა. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წელში ზღვის დედოფლისთვის მოეხადნა პირველობის გვირგვინი, რომ ეს ომი არ მომხდარიყო! აი ეს იყო მიზეზი, რომ გერმანეთისადმი ყველა მძულვარებით აივსო, მძულვარებით და შიშით. ინგლისი სადაც კი მოიხელებდა, საერთაშორისო ცხოვრებაში ებრძოდა გერმანეთის გავლენის გაძლიერებას, რა თქმა უნდა, თავის გავლენის გასაძლიერებლად. ყველა ეს თავისთავად ჰგულისხმობდა, რომ ორი მეტოქის შუა დიდი კონფლიქტი მზადდებოდა, რაიც ადრე თუ მალე სამხედრო შეხლით უნდა გათავებულიყო. არა ერთხელ მიიღო გერმანეთმა წინადადება ინგლისის მიერ შეეჩერებინა სამხედრო ფლოტის გაძლიერება, მაგრამ გერმანეთი ყურს არ იბერტყავდა. ჯერ კიდევ ომამდე მისი სამხედრო ფლოტი შესდგებოდა 390 სხვა და სხვა მნიშვნელოვანი გემებისაგან. იგი შეუჩერებლივ აგებდა ახალ-ახალს დრედნოუტებს. კილის ნავსადგური ბ ლტიის ზღვაზე და ვილჰელმსჰაფენი ჩრდილოეთის ზღვაზე,—აი განსაცვიფრებელი ადგილები, სადაც თავი მოუყრიათ მათს ზღვის ვეშაპებს; კუნძული ჰელჰოლანდი,—აი ნაღმოსანთა და წყალქვეშა ნავთა მკვიდრი ბინა, ხოლო კუქსჰაფენი და ბრუნსბიუტელი,—აი ის მზარავნი ციხენი, რომელნიც სრულიად უზრუნველჰყოფენ სამხედრო ფლოტის სადგურებს კილის არხთან.

De-Ka

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან ჯადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | 58 „ | საღ. |


# სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და** ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 ოტდ. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უფლებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

კ უ რ ს ე ბ ი

# ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

**თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.** (20—231—13)

# სავაჭრო სახლი
# „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

# ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმოთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ბ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით** და მასთანვე

—სუნი და გემოც საამური აქვს—

წლ.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „ომშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**